# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14 (9.679)

25 აპრილი–2 მაისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# კალიებთან ბრძოლის სტრატეგია განიხილეს

## საშიშროება 10 000 ჰექტარს ემუქრება



სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე, ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ლიპარტია, ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნიკოლოზ მესხი და მცენარეთა კარანტინის სამმართველოს უფროსი ოთარ სხვიტარიძე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ეწვივნენ და კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებსა და ადგილობრივ ფერმერებს იტალიურ და მაროკოულ კალიებთან ბრძოლის წლევანდელი სტრატეგია გააცნეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი ზურაბ ვეფხიშვილი, კახეთის გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს სამსახურისა და შპს ,,მექანიზატორის" წარმომადგენლები. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე სააგენტოს მიერ განხორციელდებული შესაბამისი მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილია კალიის გავრცელების მოსალოდნელი კერები. ამ ეტაპზე საშიშროება დაახლოებით ათი ათას ჰექტარს ემუქრება, შესაბამიისი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მავნებლის გავრცელების კერების მინიმუმამდე დაყვანაა შესაძლებებლი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ეკიპაჟები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სპეციალური ტექნიკის გამოყენებით კალიის წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ ღონისძიებებს მაისის შუა რიცხვებიდან განხორციელებენ.

იტალიური და მაროკოული კალია სასოფლო-სამეურნეო კულტურებს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის.

სააგენტო მოსახლეობას მოუწოდებს, კერის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

# სხვადასხვა სასჯელი შენახვისა და გასაღებისთვის

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინიტროსა და ასევე პროკურატურის მიერ შემუშავებული კანონპროექტის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკების გასაღებასა და შეძენა-შენახვაზე ერთმანეთისგან გაიმიჯნება და, შესაბამისად, გადაიხედება სასჯელის ზომებიც. კანონპროექტი უკვე წარდგენილია პარლამენტში და მისი განხილვა მიმდინარე კვირაში იგეგმება. ამ მოთხოვნის შესახებ წლებია ლაპარაკობენ ნარკოპოლიტიკაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. როგორ აფასებენ ისინი მთავრობის ამ ინიციატივას?

ბექა წ. თითქმის წელიწადნახევარია ელის განაჩენს იმის შესახებ, მოუწევს თუ არა გაატაროს ციხეში მომდევნო რამდენიმე წელი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მისი სასჯელი შესაძლოა 10 წელსაც კი გადასცდეს. ის, მარიხუანის მოხმარებისა და შენახვის ბრალდებით, 2013 წლის ზაფხულში დააკავეს. ციხიდან 18 დღის შემდეგ გირაოს საფუძველზე გაათავისუფლეს. ბექას დაკავებას და მის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესებს საზოგადოების ნაწილის პროტესტი მოჰყვა. „ბექა კრიმინალი არ არის" - აქციები ამ გზავნილით 2014 წლის მაისში დაიწყო. ბექამ 20 აპრილს შეიტყო, რომ სისხლის სამართლის კანონში დაგეგმილია ცვლილებები, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკების გასაღებასა და შეძენა-შენახვაზე ერთმანეთისგან გაიმიჯნება.

„სავარაუდოდ, ახალი სასჯელები დაწესდება და, ალბათ, ახალი რეგულაციების მიხედვით მოუწევთ ჩემი დასჯა. თუ გასაღება იმიჯნება შენახვა-შეძენისგან, ეს ძალიან კარგია. ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნაც სწორედ ეს იყო. ძალიან დიდი შეღავათია ეს. თუკი აქამდე შეძენა-შენახვაც 11 წლამდე პატიმრობას გულისხმობდა, ახალი ნორმის მიხედვით, სასჯელი 6 წლამდე ჩამოდის", - ამბობს ბექა.

კანონპროექტი, რომელიც იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და ასევე პროკურატურის ინიციატივით შეიქმნა, უკვე პარლამენტშია წარდგენილი და მისი განხილვა მიმდინარე კვირაში იგეგმება. საქმე ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის მოქმედი ნორმაც მიუთითებს, რომ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 11 წლამდე. ანუ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა გათანაბრებულია მის გასაღებასთან. იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე რადიო თავისუფლებასთან საუბარში ამბობს, რომ ამ ჩამონათვალს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება უნდა გამოეყოს:

„თუკი აქამდე პირი ყველაფრისთვის შეიძლებოდა დასჯილიყო 11 წლამდე, ახლა ახალი ნორმა ამბობს, რომ დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა-გადაგზავნისთვის პირს შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა ვადით 6 წლამდე, მაგრამ გასაღებისთვის - 6-დან 11 წლამდე. გასაღება ყველაზე საშიშია და მასთან არ უნდა იყოს გათანაბრებული შედარებით ნაკლები საშიშროებები".

საქართველოს ნარკოპოლიტიკის შეცვლა და სადამსჯელო ღონისძიებებიდან სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე გადასვლა - ეს არის მოთხოვნა, რომელზეც წლებია ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ნარკოლოგები ლაპარაკობენ. როგორც ისინი ამბობენ, თანხა, რომელიც ნარკომომხმარებლების საპატიმროებში შენახვას ხმარდება, უმჯობესია მოხმარდეს მათ მკურნალობასა და რეაბილიტაციას. ამ მოსაზრებას იზიარებს „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის" ხელმძღვანელი კახა კვაშილავა. მისი თქმით, თუკი დღეს სახელმწიფო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რაიმე ფორმით მოხდეს კანონმდებლობის შემსუბუქება, ეს ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ნარკოკანონმდებლობის ლიბერალიზაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯად:

„ჩვენი კანონმდებლობა იმგვარად იყო მოწყობილი, რომ ნებისმიერი პიროვნება, ვისაც შესაძლებელია რაღაც დოზით თუნდაც პირადი მოხმარებისთვის ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება, შესაძლებელი იყო მის მიმართ პასუხისმგებლობა დამდგარიყო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით, რადგან არის ძალიან ბევრი ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც, ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ნივთიერებებისთვის არ არის დადგენილი მცირე ოდენობები. ამიტომ, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ოდენობის აღმოჩენის შემთხვევაში, პირი პასუხისგებაში მიეცემოდა 260-ე მუხლით".

როგორც იუსტიციის სამინისტრო განმარტავს, გადაწყვეტილება, პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას შეძენა-შენახვისა თუ გასაღების ბრალდებით, მიიღება თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებებისა და მტკიცებულებების შესაბამისად, რომელთა არსებობის ან არარსებობის საკითხს სასამართლო დაადგენს.

## გოდერძი ჩოხელის სევდიანი გზა



გვ.5

## სამამულო ომის ვეტერანებს სახელმწიფო საჩუქრად 1 000 ლარს გადასცემს

გვ.2

## წიგნი ჩვენი მეგობარია...




გვ.4

## ლადო ათანელი



გვ.3

ოქროს ყელი საქართველოდან

C M Y K

# სამამულო ომის ვეტერანებს სახელმწიფო საჩუქრად 1 000 ლარს გადასცემს

მთავრობის გადაწყვეტილებით, 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 1800 ვეტერანი ერთჯერადად 1000 ლარიან დახმარებას, ხოლო მარჩენალდაკარგული 500 ოჯახი 500 ლარიან დახმარებას მიიღებს.

სამამულო ომის ვეტერანების დასახმარებლად მთავრობის ინიციატივით 2 მილიონ ლარამდე გამოიყოფა.

„საქართველოში დღეისთვის გვყავს ომის 1800 მონაწილე და 500 მოქალაქე, რომელსაც მარჩენალდაკარგულის სტატუსი აქვს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ამ კონკრეტული ინიციატივისთვის 2 მილიონ ლარამდე თანხას გამოყოფს. როგორც ცნობილია, შარშან ომის ვეტერანებისთვის 400 ლარი გამოვყავით, მარჩენალდაკარგულებისთვის კი – 200 ლარი, მაშინ, როდესაც წინა წლებში ომში მონაწილეებს მხოლოდ 200-ლარიანი დახმარება ეძლეოდათ. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რამდენად დიდია განსხვავება და რამდენად ვაფასებთ მათ წვლილს ამ დიდი გამარჯვებაში. რა თქმა უნდა, ამით მათი ყველა პრობლემა ვერ მოგვარდება, მაგრამ ვფიქრობთ, მიეცემათ შესაძლებლობა, ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავს ღირსეულად შეხვდნენ“, - განაცხადა მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია ცქიტიშვილმა.

9 მაისი დღესასწაულად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 8 მაისის ბრძანებულებით გამოცხადდა, ხოლო უქმე დღედ კი 1965 წლის 26 აპრილს.

# ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ რაც გურჯაანში მოხდა, „ნაციონალური მოძრაობის“ სპექტაკლი იყო

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ის, რაც გურჯაანში მოხდა, “ნაციონალური მოძრაობის” მიერ დადგმული სპექტაკლი იყო.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ძალიან სამწუხარო იყო ის, რაც იხილეს, “მაგრამ მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პროვოცირებული იყო ე.წ. ოპოზიციის მხრიდან. ძალიან ცუდია, რომ ასე უხეშად, ასეთი დესტრუქციული მეთოდებით სცადეს რაიონის გამგეობის მუშაობის შეფერხება და პარალიზება. სამწუხაროა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის რეაქცია იყო საკმაოდ მძაფრი და მწვავე, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა პირობებში ცხოვრობდა მოსახლეობა. ასე, რომ ეს რეაქცია არის ჩვენთვის მიუღებელი, მაგრამ მეორე მხრივ, მათი ეს აგრესია არის გასაგები”, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა მოუწოდა როგორც ოპოზიციის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი ასეთი მძაფრი გამოხატულებებისგან.

“ეს არ წაადგება ჩვენს ქვეყანას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ჩვენ ვემზადებით რიგის სამიტისთვის. ზოგადად ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა რაიონში, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე იყოს სიმშვიდე და სტაბილურობა”, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ოპოზიციას თუ რაიმე კითხვები აქვს და მართლაც გულწრფელები არიან, არსებობს შესაბამისი უწყებები და მათ შეუძლიათ მიმართონ.

“ამხელა ალიაქოთი რა თქმა უნდა, არის ხელოვნური, არავითარი ნეპოტიზმის და კორუფციის ფაქტები იქ არ არის. თუ არის მსგავსი რამ, ამას შეისწავლიან და მოახდენენ რეაგირებას შესაბამისი უწყებები, ეს ყველაფერი არის დადგმული სპექტაკლი, მათი სურვილი და ამოცანა არის როგორმე შეაფერხონ და პარალიზება მოახდინონ ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის. ვიმეორებ, რეაქცია იყო მწვავე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ მართლაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ ხალხის აგრესია შეგვეჩერებინა. მზად ვართ, კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ ჩვენს ამომრჩევლებს, მხარდამჭერებს, რომ მაქსიმალურად შეინარჩუნონ სიმშვიდე”, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა ამ ეტაპზე არ იგეგმება — ირაკლი ღარიბაშვილი

ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა ამ ეტაპზე არ იგეგმება, - ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე გააკეთა. მთავრობის მეთაურმა ენერგეტიკის სამინისტროს, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და სემეკ-ის წარმომადგენლებს მიმართა, შიდა საუბრების გასაჯაროებით მოსახლეობას ხელოვნურად ნუ დაძაბავენ.

„ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ხელოვნურად დადგმულ სპექტაკლს. ყველას მივმართავ თხოვნით, თავი შეიკავონ და ხელოვნურად ნუ ძაბავენ მოსახლეობას, ვიდრე არ იქნება ჩამოყალიბებული პოზიცია. არავითარი ტარიფის მატება არ იგეგმება“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

შეგახსენებთ, კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ სემეკ-ს ტარიფის გადახედვის თხოვნით მიმართა. არსებული ინფორმაციით, ტარიფის საკითხი 10 სექტემბრამდე უნდა გადაწყდეს. „ენერგო-პრო ჯორჯია“ თბილისის და კახეთის გარდა, მილიონამდე აბონენტს ემსახურება.

# C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩასართავად რეგისტრაცია 28 აპრილიდან დაიწყება

28 აპრილიდან C ჰეპატიტის პროგრამაში ჩასართავად პაციენტების რეგისტრაცია დაიწყება. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამკურნალო მედიკამენტების პირველი პარტია საქართველოში კვირას ან ორშაბათს შემოვა. პაციენტთა რეგისტრაცია „სოციალური მომსახურების სააგენტოში ან მის ფილიალებში იწარმოებს.

სამინისტროს ცნობით, C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატი სოფოსბუვირი ყველა პაციენტს უფასოდ გადაეცემა.

პროგრამაში ჩასართავად საჭირო კვლევების საფასურს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სახელმწიფო თავისთავზე იღებს. მათ კვლევებს 70%-ით ჯანდაცვის სამინისტრო, 30%-ით კი ადგილობრივი თვითმმართველობები დაუფინანსებენ. საქართველოს ყველა სხვა C ჰეპატიტის ვირუსის მატარებელი მოქალაქეებს ჯანდაცვის სამინისტრო კვლევების საფასურის 30%-ს დაუფინანსებს.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელების შესახებ საქართველოს მთავრობასა და ამერიკულ კომპანია „გილეად საიენსს“ შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი 21 აპრილს მოეწერა.

# ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ევროკავშირს მოუწოდებს, სწრაფად განმუხტოს “რუსეთის შეშფოთება”

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ევროკავშირს მოუწოდებს, სწრაფად განმუხტოს “რუსეთის შეშფოთება”, რასაც უკრაინასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერა იწვევს, - აღნიშნულ ინფორმაციას “რადიო თავისუფლება” ავრცელებს.

წერილში, რომელიც “რადიო თავისუფლებას” ჩაუვარდა ხელთ, შტაინმაიერი ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან-პოლ იუნკერს მოუწოდებს, “პრაქტიკული გადაწყვეტილებების მისაღებად”, განახლდეს მოლაპარაკებები ევროკავშირს, უკრაინასა და რუსეთს შორის. რუსეთი ილაშქრებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის წინააღმდეგ (DCFTA), რაც 2014 წლის მარტში ევროკავშირისა და უკრაინის მიერ ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების მთავარ არსს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც რუსეთის წინააღმდეგობის გამო შეთანხმების ამოქმედება გადაიდო, იგი ძალაში უნდა შევიდეს 2016 წლის პირველ იანვარს.

# საქართველომ და ბელორუსმა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და საბაჟო სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებები გააფორმეს

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა და ბელორუსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვლადიმირ მაკეიმ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და საბაჟო სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებები გააფორმეს.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრებმა ხელი მოაწერეს საქართველოს მთავრობასა და ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის “შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ” ასევე “საბაჟო საკითხებში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ” შეთანხმებებს.

“ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ” შეთანხმების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვას, ხოლო, “საბაჟო სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ” შეთანხმება ითვალისწინებს მხარეებს შორის ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების გაწევას საბაჟო კანონმდებლობის სათანადოდ გამოყენების, ასევე საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის, გამოძიებისა და აღკვეთის მიზნით.

როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, სტატისტიკური მონაცემებით, ბელორუსი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია. 2010-2014 წლებში, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 303 850 200 აშშ დოლარი შეადგინა, აქედან საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის ღირებულებამ 142 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ამასთან, ორ ქვეყანას შორის განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობამ 2010-2014 წლებში - 132 000 აშშ დოლარი შეადგინა. ამჟამად, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება ძალაშია 47 ქვეყანასთან, ხოლო საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმება მოქმედებს 16 ქვეყანასთან.

# ნოდარ ჯავახიშვილი – წინამორბედზე საუბარი ძალიან ცუდი ტონია

გარწმუნებთ, რომ ტენდერებთან დაკავშირებით მიდგომები ისე დაიხვეწება, ჟურნალისტებს ამ ნაწილში საქმე გამოგელევათ , - ამის შესახებ მედიის წარმომადგენლებს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ახალმა მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაზეც მისი უწყება ყურადღებას გაამახვილებს, სწორედ ტენდერებთან დაკავშირებული საკითხია.

“გამოიკვეთა, რომ მიდგომებია დასახვეწი. თუმცა გარწმუნებთ, რომ შედეგს ძალიან მალე ნახავთ და ჟურნალისტებს ამ ნაწილში საქმე გამოგელევათ”, - განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

კითხვაზე, ტენდერებთან დაკავშირებულ ხარვეზებში ადანაშაულებს თუ არა წინამორბედს დავით შავლიაშვილს, ჯავახიშვილმა განმარტა, რომ “წინამორბედზე საუბარი ცუდი ტონია”.

“საერთოდ, ძალიან ცუდი ტონია წინამორბედზე საუბარი. თუ კარგი ხარ, შენი საქმე უკეთესად უნდა აკეთო”, - დასძინა მინისტრმა.

ამასთან, ნოდარ ჯავახიშვილმა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ტემპთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ კმაყოფილი არასდროს არაფრითაა.

“კმაყოფილი მე არასდროს არაფრით არ ვარ. სამინისტროში ძალიან ბევრი რამე შეიცვლება, რადგან სრულყოფილება მიუღწევადია და ეს უნდა იყოს მიზანი”, - აღნიშნა ჯავახიშვილმა.

გარდა ამ საკითხისა, მინისტრი საქართველოში შვეიცარიის ელჩის გიუნტერ ბეხლერის მიერ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ის ცოტა გადაჭარბებულია.

“ცოტათი არის გადაჭარბება. თუმცა, მე როგორც ვიცი, ჟურნალისტებზეც არის მინიშნება, რომ მათი მხრიდან ცოტა უტრირებულია ელჩის ნათქვამი”, - განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

# ოქროს ყელი საქართველოდან

## ლადო ათანელი მშობლიურ კუთხეს სტუმრობდა

როდესაც ანგელოზები დასხდნენ და საქართველოს შესახებ ისაუბრეს, იქვე განსაზღვრეს, რომ მეოცე საუკუნეში, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში, კერძოდ ისტორიულ ქიზიყში, სოფელ სამრეკლოში ბიჭი დაიბადებოდა, მომღერალი ბიჭი, რომელიც მთელს მსოფლიოს გააცნობდა თავს თავისი ძლიერი ბანით.... და მართლაც აღსრულდა, სწორედ ამ კუთხიდან ამობრწყინდა ლადო ათანელი, რომელმაც მსოფლიოს საოპერო ხელოვნების ისტორიაში თავისი მკვეთრი შტრიხები გაავლო. მას დღეს მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც ოქროს ბანს. არაერთხელ შევხებივარ თემას მის შესახებ, მაგრამ არასოდეს ავღელვებულვარ ისე, როგორც ახლა, ვღელავ, რადგან მიჭირს იმ ემოციის გადმოცემა, რაც მასთან ამ შეხვედრის დროს განვიცადე, ძნელია, მოვძებნო სიტყვები, რომ დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის სცენაზე ადგილობრივი საზოგადოების ლადო ათანელთან შეხვედრის შესახებ გადმოვცე!

„ქართველი ბარიტონი ლადო ათანელი, დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილი და საყვარელი მომღერალია. ალბათ ეს განაპირობა იმანაც, რომ იგი მომღერლების ოჯახიდანაა.

სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ოთხი წელი მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა, ოთხი წელი კონსერვატორიაში ჯემალ ლორთქიფანიძესთან. თავდაპირველად იგი საოპერო სტუდიაში მღეროდა, შემდეგ კი 1989 წელს პირველად იმღერა ვერდის „ბალ-მასკარადში“, პირველი პრიზი ბარსელონაში მიიღო 1991 წელს, 1993 წლიდან მას მხარში უდგას თავისი მეუღლე მანანა ჩიქოვანი, ადამიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ლადოს შემოქმედების პირველი ეტაპის მონაპოვარი განვითარებულიყო და იმ ფენომენად ჩამოყალიბებულიყო ვოკალური ხელოვნების ისტორიაში, რომელიც დღეს ლადო ათანელის სახელითაა ცნობილი.“-იუწყება ერთ-ერთი გერმანული გაზეთი. ჟურნალ „ორფეოსში“კი, დაიბეჭდა სპეციალური სტატია ლადოზე, სადაც მისი ხმის სიმძლავრე 355 ცხენის ძალას შეადარეს. ვერდის „ნაბუქო“ არის ურთულესი და ულამაზესი პარტია, რომლის სახითაც ფრანგმა მელომანებმა და საზოგადოებრიობამ უნიკალური საჩუქარი მიიღეს, ლადო იმ საღამოს „ასკარატიან ბრილიანტს“ შეადარეს. მისი ხმისთვის იტალიური მუსიკა მალამოსავითაა - ხელს უწყობს მის განვითარებას, იგი თავს იკავებს გერმანული პარტიების შესრულებისაგან. მრავალი წლის შემდეგ მომღერალი, სამშობლოში იმყოფებოდა და თბილისში ბენეფისი გამართა, რათა 150 წლის საოპერო თეატრისთვის მატერიალური მხარდაჭერა აღმოეჩინა, მან წინასწარ მოითხოვა ბილეთები ხელმისაწვდომ ფასებში გაყიდულიყო, რათა ახალგაზრდებსაც ჰქონოდათ დასწრების შესაძლებლობა, საზღვარგარეთ ათანელი არამარტო თავის ერს წარმოაჩენს, არამედ იგი კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის წევრია, მეუღლე მანანა ჩიქოვანი კი, წევრ-კორესპონდენტი. ივლისში მან პირველი CD გამოუშვა. დიდი ბარიტონი გარეგნულადაც საკუთარ ხმას ჰგავს - მაღალი, კლდესავით მაგარი, უკან გადავარცხნილი შავი თმით, თითქოს აგრესიულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მისი წყლიანი, თაფლისფერი თვალები უდიდეს ადამიანურ სითბოს ასხივებს.

თბილისის სცენაზე მან შეასრულა ჟერმონის პარტია „ტრავიატაში“, შემდეგ როსინის „სევილიელ დალაქში“- ფიგაროს პარტია, ასევე მურმანის როლი - „აბესალომ და ეთერიში“.

1991 წლის 23 ნოემბერს გამართულ საერთაშორისო ფესტივალში 200 მონაწილიდან მხოლოდ მან აიღო პირველი პრემია - გრან-პრი, ეს მისი პირველი უდიდესი წარმატება იყო, იმ პერიოდში საქართველოში იყო უმძიმესი პირობები, თუმცა იგი დაუღალავად შრომობდა თავისი ხმის დახვეწისთვის, ძალიან უჭირდა, მაგრამ იცოდა, რომ მის შემოქმედებით წინსვლას დიდი საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომაც იგი გასცდა ქვეყნის საზღვრებს და გერმანიას მიაშურა.

თავდაპირველად არც გერმანიაში ჰქონია დალხენილი ცხოვრება. იგი ხუთი წელი ელოდა მოქალაქეობის მიღებას. „ალბათ ღმერთის სურვილი იყო და მართლაც, მერე, როდესაც გერმანიაში ჩამოვედი, მივხვდი, რომ ჩემმა შინაგანმა შეგრძნებამ მათქმევინა. აქ არსებული არაჩვეულებრივი წესრიგი, დისციპლინა და შრომისმოყვარეობა, თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, მეც მახასიათებს და ამიტომ გერმანია არის სწორედ ის ქვეყანა, სადაც საქართველოს შემდეგ შემიძლია ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაგრძელება,“-განაცხადა ლადომ ერთ-ერთ გერმანელ ჟურნალისტთან ინტერვიუში.

– „მიუხედავად მისი წარმატებისა, ლადო ათანელს გული სწყდება იმაზე, რომ ბარიტონია, რადგან მას ყოველთვის უარყოფითი პერსონაჟების გაცოცხლება უწევს, მას კი უნდა, რომ დადებითი გმირები განასახიეროს. მას არ შეუძლია მიწებებული წვერით სიმღერა, ამიტომ ყოველთვის მოშვებული წვერით დადის. მართალია ათანელი გერმანიაში თავს კარგად გრძნობს, მაგრამ მას მუდმივად ენატრება საქართველო,“-წერენ ათანელზე.

რამდენიმე დღის წინ, სიმბოლურად 23 აპრილს, ლადო ათანელიშვილი მშობლიურ დედოფლისწყაროში მუსიკის პედაგოგის ლია ხაჩიაშვილის უშუალო ორგანიზებით მოიწვიეს. ღონისძიებას მხარს უჭერდა მენიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და ხელოვნების სკოლის პედკოლექტივი ამავე სკოლის დირექტორის მარინე კიკილაშვილის თაოსნობით. საღამო არაჩვეულებრივად წარიმართა, რომელიც ხელოვნების სკოლის მოსწავლეებს მიჰყავდათ. მათმა მომზადებამ და ლადოს შესახებ გაჟღერებულმა ბიოგრაფიულმა ნოველებმა, თუ მომღერალზე ინფორმაციის გადმოცემის მასშტაბებმა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოსწავლეებმა საოპერო მომღერლის ცხოვრებიდან ყველა საგულისხმო მომენტი გააცოცხლეს და თქვეს ყველაფერი ის, რაც ლადო ათანელზე თქმულა და დაწერილა.



ეს ყველაფერი კი როგორც მაყურებლისთვის, ასევე მოწვეულ სტუმრებისთვის და საოპერო მომღერლისთვის ძალიან დიდი სიურპრიზი და მოულოდნელობა გახლდათ, რამაც დიდი ემოციები აღძრა, როგორც მომღერალში, ასევე მაყურებელში. ბატონი ლადო თვალზე ცრემლს ძლივს იკავებდა. შეხვედრას ძალიან მოუხდა ის სიმბოლური დატვირთვა, რომ სწორედ იმ დღეს, 23 აპრილს ბატონი ლადო ათანელის და ქალბატონ მანანა ჩიქოვანის შეუღლებიდან 21 წელი შესრულდა, რაც შეხვედრის ორგანიზატორმა ქალბატონმა ლიამ გაამხილა ღონისძიების მსვლელობის დროს. საღამო ეკრანზე სლაიდების ჩვენებით მიმდინარეობდა, სადაც ლადო ათანელის დიდ სცენებზე გამოსვლების ფრაგმენტები იყო ნაჩვენები. ეკრანზე აჩვენეს ლადოს ბავშვობის ფოტოებიც და სპეციალურად მისთვის გააჟღერეს ლადის მამის სიმღერა. ყველაფერმა ერთად ლადო ათანელს გული ისე აუჩუყა, რომ მან თავისი ემოციები ვერ დაფარა და სცენაზე ატირდა. დამეთანხმებით ეს დიდი სიყვარულის და უსაზღვრო მონატრების ცრემლები იყო და კიდევ ის, რომ ღონისძიებამ თავისი მიზანი, ათანელის სულის სიღრმეებამდე შეაღწია, გაამართლა. ეს გახლდათ უპრეცედენტო შეხვედრა, როდესაც ლადო ათანელის ცრემლებს მაყურებელი სამჯერ წამოუდგა ტაშის დაკვრით. საღამო კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, ბატონი ლადო, როგორც ყოველთვის, იყო უსაზღვროდ უშუალო, სადა და გულწრფელი. მან დამსწრე საზოგადოების თხოვნით მანანა ჩიქოვანის აკომპანიმენტის თანხლებით შეგვისრულა სამი საოპერო არია, რასაც დარბაზში ხანგრძლივი ოვაციები მოჰყვა. მაყურებელი მას რამდენჯერმე წამოუდგა ფეხზე. შეკითხვების შესაბამისად მან ისაუბრა თავის პირველ ნაბიჯებზე საოპერო ხელოვნებაში და იმაზე, თუ რამდენად დუხჭირი იყო მისი პირველი ნაბიჯები ამ დიდ გზაზე. ისაუბრა პატრიარქზე და მასთან მისი ოჯახის დამოკიდებულებაზე. ლადო ათანელს მიესალმა და სიტყვით გამოვიდა ხელოვნების სკოლის დირექტორი მარინა კიკილაშვილი, რომელმაც გაიხსენა კონსერვატორიაში სწავლის წლები, როდესაც ის და ლადო ათანელი ერთ ჯგუფში სწავლობდნენ. მანვე ბატონ ლადოს და ქალბატონ მანანას გადასცა ყვავილები და სამახსოვრო საჩუქრები. მომღერალს სიტყვით მიმართა ასევე ხორნაბუჯისა და ჰერეთის მეუფე დიმიტრიმ. შეხვედრამ ძალიან თბილ, უშუალო და სიყვარულით სავსე გარემოში ჩაიარა. ხელოვნების სკოლის დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა, ხოლო ოვაცია და ტაში დიდხანს, დიდხანს არ ცხრებოდა.

ბოლოს დარბაზში ფეიერვერკები აინთო, რამაც უფრო გაალამაზა ისედაც მშვენიერი საღამო. შეხვედრის დასასრულს ბატონმა ლადომ უხვად გასცა ავტოგრაფები და უამრავ მსურველთან ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტოები, რაც თითქმის ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

მანანა ჩიქოვანი, **ლადო ათანელის მეუღლე, მუსიკოსი,** -„ემოციებს ვერ ვფარავ, ძალიან ბედნიერი ვარ, დედოფლისწყარო ლადოს მშობლიური კუთხეა და ამდენად ვიცი, თუ რას ნიშნავს მისთვის ეს დღე. ძალიან კმაყოფილები ვართ შეხვედრით, მადლობა ორგანიზატორებს, უსაზღვროდ მოგვეწონა გამომსვლელთა მომზადება. აქ ითქვა თითქმის ყველაფერი ლადოს შესახებ და მადლობა ამისთვის. ასეთი გულთბილი შეხვედრა ლადოს ძალიან დიდხანს გაჰყვება საგზლად. ჩვენ მსოფლიოს არაერთი ცნობილი სცენის დარბაზში მიგვიღია დაუცხრომელი ტაში და ოვაცია, მაგრამ ეს სულ სხვაა, აქ მიღებული და განცდილი ათმაგად ძვირფასია და ღირებული ლადოსთვის, ვიცი, რომ ის ახლა უსაზღვროდ ბედნიერია. თავდაპირველად ავღელდი და ავნერვიულდი, რადგან ვიცოდი, ლადოს უნდა ემღერა და განვიცადე, რომ ხელი არ შეშლოდა მის წარმატებით გამოსვლას. მოგეხსენებათ, როგორც ცრემლები, ასევე სიცილიც არ შეიძლება მომღერლისთვის, რადგან ეს მის ხმაზე ცუდად აისახება, როდესაც ის ატირდა, მან საკუთარ ხალხთან შეხვედრის შედეგად ემოციები ვერ მოთოკა და ცრემლები ვერ შეიკავა, მაგრამ ვხედავთ გამოსვლა წარმატებული აღმოჩნდა. აღფრთოვანებული ვარ, ემოციურად სავსე და კმაყოფილი.“-განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

ლადო ათანელი, **მსოფლიო „ოქროს ბანი“**-„დღეს მე ბედნიერი ვარ, ყველას თვალებში დავინახე ჩემდამი დიდი სიყვარული და მინდა გითხრათ, რომ მეც ასევე მიყვარხართ, ვიგრძენი ხალხის სიყვარული და ხომ ხედავთ სცენაზე ავტირდი, ეს ჩემი კუთხის სიყვარულის ბრალია და თავი ვერ შევიკავე.“-გვითხრა ლადო ათანელმა.

ლია ხაჩიაშვილი, **მუსიკოსი,** -„თავდაპირველად, როცა ეს ღონისძიება დავგეგმე, მამაოსგან ავიღე კურთხევა, რამაც სიმშვიდე მომანიჭა და აუღელვებლად დავიწყე მასპინძლობისთვის მზადება. ხედავთ, რომ გამოვიდა. მადლობა უფალს, რომ შეხვედრამ ასე ლამაზად ჩაიარა. ისეთი სტუმარი გვყავდა, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა“.

მარინე კიკილაშვილი, **ხელოვნების სკოლის დირექტორი,** მუსიკოსი, - „მე ცაში ვარ, ცაში დავფრინავ სიხარულისგან, ეს არის ერთ- ერთი ულამაზესი და უბედნიერესი დღე ჩვენი სკოლის ცხოვრებაში. ლადო ჩემი კურსელი იყო, უსაზღვროდ ვაფასებ და მიყვარს. შვიდი წლის წინ ჩვენმა სკოლამ მოვაწყეთ ლადო ათანელიშვილთან შეხვედრა, თბილი შეხვედრა იყო, მაგრამ მცირე საზოგადოების ნაწილი გახლდათ, ამჯერად დარბაზი გადაჭედილი იყო და კავშირი სტუმარსა და მასპინძელს შორის საოცარი მუხტით იყო შეკრული. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმდენად დიდებული განწყობა მაქვს დაუფლებული. “

თავის მხრივ ბატონ ლადოს და მის მეუღლესაც ჰქონდათ საჩუქრები მაყურებლისთვის. მათ ხელთ ეკავათ გივი სიხარულიძის ავტორობით ლადო ათანელზე ახლადგამოცემული წიგნი, რომელიც ნოველების და სცენიური სახეების ფოტოებით იყო გაფორმებული.

გთავაზობთ ამ წიგნიდან რამდენიმე ნოველას, რომელიც მსახიობის და მწერლის გივი სიხარულიძის კალამს ეკუთვნის.

### ყველა ქართველი მეფეა

ბერლინის დოიჩე ოპერაში ვერდის ოპერა „მაკბეტის“ დამთავრების შემდეგ ჟურნალისტი შემოვიდა. თურმე, ჩემს ყველა სპექტაკლს ესწრებოდა. ჟურნალისტმა მოკრძალებით მომმართა: - სერ ლადო ათანელი, თითქმის ყველა სპექტაკლში მეფის როლს თამაშობთ, ეს როლები სხვისი შესრულებითაც მინახავს, სპექტაკლის ბოლოს, აპლოდისმენტების მიღებისას მომღერლები თავაწყვეტილი გამორბიან სცენაზე, თქვენ კი, მეფური მანერით, დინჯი ნაბიჯებით გამობრძანდებით ხოლმე. შეგიძლიათ გამიმხილოთ, რაშია თქვენი საიდუმლო?!-მე ღიმილით ვუპასუხე:-გთხოვთ, აუცილებლად წაიკითხოთ საქართველოს ისტორია და მიხვდებით, სად იმალება ჩემი საიდუმლო! საქართველოში ყოველი მეორე ბუნებით მეფეა. ის კი არა, გათვლის დროს ჯარისკაცები მხოლოდ „პირველს“ გაიძახიან, თითქოს „მეორე“ არ არსებობდა. ერთი სიტყვით, მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ყველა საპირველოდ არის დაბადებული. ყველა ქართველი შინაგანად მეფეა!

### ოქროს ყელი

იტალიაში, ქალაქ ტრეისში, „ტოსკას“ პრემიერაზე სკარპიას პარტია უნდა მემღერა, გადმოცემით ვიცოდი, რომ ჩემი სათაყვანებელი მომღერალი, იტალიელი ბარიტონი პიერო კაპუჩილი, წარმოშობით ამ ქალაქიდან იყო. მე, რა თქმა უნდა, თეატრის დირექციას ვთხოვე, როგორმე მაესტროსთან შევეხვედრებინე. რატომღაც რეპეტიციების მსვლელობისას შეხვედრა ვერ შედგა. პრემიერის დღეს კი, ჩემს საგრიმიოროში როგორც კი შევედი და შიდა რადიო ჩავრთე, დირექტორის ხმა შემომესმა, რომელიც იუწყებოდა:-დღევანდელ სპექტაკლს ვუძღვნით ბატონ პიერო კაპუჩილის, რომელიც ჩვენი საპატიო სტუმარი იქნებაო. აი, ასეთი სიურპრიზი მომიმზადა განგებამ. სპექტაკლის შემდეგ სახელოვანი მომღერალი სცენაზე ამოვიდა, სპექტაკლის ტრიუმფით დასრულება მომილოცა და მითხრა: -საკვირველია, ქართველმა ბარიტონმა „სკარპია“ ისე იმღერე, როგორც ნამდვილმა იტალიელმა. იცოდე, ამ ოქროს ყელს საკუთარი თავივით უნდა გაუფრთხილდე!

### „ნაბუქო“ მეტროპოლიტენ ოპერაში

მეტროპოლიტენ ოპერაში, ვერდის ოპერაში „ტრავიატა“ ჟერმონის პარტიის შესრულებისას, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა ჯეიმს ლავაინმა, რომელიც, ოპერა „ნაბუქოსაც“ დირიჟორობდა, პარელელურად, ნაბუქოს პარტიის შესრულება შემომთავაზა. ისე მოხდა, რომ სცენაზე გენერალური რეპეტიციის გარეშე გავედი, ამიტომ მხარი მეცვალა და სცენაზე სულ სხვა შესასვლელიდან აღმოვჩნდი. ცოტა არ იყოს დავიბენი, მაგრამ არ შევიმჩნიე. რა ვიცოდი, თუ ეს შესასვლელი თავად უფალმა ამირჩია. სწორედ ამ სპაექტკლის შემდეგ დაიწყო ჩემი სასცენო მოღვაწეობის ტრიუმფი, ეს იყო უფლის მიერ არჩეული გზა, ამ გზაზე დამაყენა იმ დღეს განგებამ. სპეატქკლის შემდეგ გარეთ გამოსულებს, მე და მანანას მაყურებლების ჯარი შემოგვეხვია. მეც არ დავიზარე და უხვად ვარიგებდი ავტოგრაფებს. მანანა ძალიან დაიღალა, შემევედრა, დაანებე ამ ხალხს თავი, იცოდე, ქუჩაში წავიქცევიო. მანანას ბოდიში მოვუხადე, მერე გულში ჩავიკარი და ვუთხარი:-რა ვქნა, მანანა, მე ამ ხალხის სიყვარული მაცოცხლებს, საერთოდ, იცოდე, როცა ადამიანი სიყვარულის ნაპერწკალს გაჩუქებს, ამ ნაპერწკალს სული უნდა შეუბერო, სიყვარულის ხანძრად დაანთო და უკან დაუბრუნო.

### ვარდები,ბუჩქები და მერსედესი

ჰამბურგში, ვერდის ოპერა „ბედის ძალის“ დამთავრების შემდეგ მე და მანანა მანქანას მივუახლოვდით. თაყვანისმცემლების ნაჩუქარი „მერსედესის“ ფარებზე ჩემი ფანების ნაკოცნი, „პომადიანი“ ტუჩების ანაბეჭდები მოჩანდა. ეს კიდევ არაფერი, მაქანის მინაზე, გრძელი, ულამაზესი ვარდი იდო. ჩვენთან ერთად პაატა ბურჭულაძეც იმყოფებოდა. ვარდი რომ დაინახა, მანანას საამებლად წარმოსთქვა, - ეს კი, ნამდვილად ჩვენს მანანას მოართვესო. მე გამეღიმა: -არა გენაცვალე, უკვე ერთი თვეა, რაც ჩემს მხარეს ამაგრებენ ვარდს და, ცხადია, ჩემთვის არის განკუთვნილი. ვარდის ისტორია რამდენიმე სპექტაკლის შემდეგაც განმეორდა. ბოლო სპეტქკლი რომ დამთავრდა და გარეთ გავედით, ყვავილების ბუჩქებიდან უცბათ, ვარდით ხელში ვიღაც ქალმა ისკუპა. ქალს მანანასთვის არც კი შეუხედავს, გზა გადამიღობა, ყვავილი მომართვა და, - რა დასანანია, რომ ბოლო სპექტაკლს ვესწრებიო,- ამოიგმინა. შემდეგ, იქვე მდგომ მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და ადგილიდან შურდულივით მოწყდა. ნაჩუქარ ვარდს რომ ვუყნოსე, სურნელებით მივხვდი, სწორედ ის ქალბატონი იყო, ერთი თვის მანძილზე ვარდებს რომ მჩუქნიდა.

* * *

შეხვედრა სტუმრების ქართულ სუფრასთან მიწვევით და ტრადიციული სადღეგრძელოებით გაგრძელდა.

საამაყოა, რომ ისეთი დიდი საოპერო მომღერალი, როგორიც ლადო ათანელია, ჩვენი მიწის შვილია და ის მსოფლიოს საოპერო მომღერალთა შორის ვარსკვლავად ბრწყინავს. ვაცილებთ ლადო ათანელს და თან საგზლად ვატანთ მშობლიური ხალხის სიყვარულს, რომელიც მას აუცილებლად დაეხმარება მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო სცენებზე წლობით გაწერილი სასცენო პროგრამის კიდევ უფრო დიდი ანშლაგით ჩატარებისთვის.

ლალი მეხრიშვილი

# სააღდგომო ღონისძიება ხორნაბუჯის სკოლაში

## „ჩვენ დაპირებებს ყოველთვის შევასრულებთ“...

23 აპრილს ხორნაბუჯის სკოლაში ოდნავ მოგვიანებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ახლადგანახლებულ სააქტო დარბაზში იზეიმეს. მრავალეროვანმა და მცირერიცხოვანმა მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა კლასის დამრიგებლის ნინო დევრისაშვილის ხელმძღვანელობით ახლადმოწყობილ სცენაზე კიდევ ერთი ლამაზი სანახაობა, ლიტერატურული სპექტაკლი"ქრისტე აღსდგა"დადგეს. უჩვეულოდ სასიამოვნო მოსასმენი იყო სხვადასხვაეროვანი მოსწავლეებისგან როგორც დავით გურამიშვილის ლექსის "მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი", ასევე იოანე ზოსიმეს თუ რაფიელ ერისთავის შემოქმედება და მათი წარმოჩენა მხატვრულად.



ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა და მოწვეულ სტუმრებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს ბრწყინვალე აღდგომა მიულოცა სკოლის დირექტორმა ნელი აფციაურმა:

-ძალიან მიხარია, რომ გხვდებით ამ ბრწყინვალე დღესასწაულზე განახლებულ დარბაზში, რამოდენიმე თვის წინ, დირექტორის მოსვლისთანავე გადავწყვიტეთ, რომ ეს დარბაზი უნდა აღგვედგინა, ჩვენ დანაპირებს ყოველთვის ასე შევასრულებთ, ამისთვის მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს მოსწავლეებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სააქტო დარბაზის განახლებაში, ისინი დასვენების დღეებშიც კი მოდიოდნენ და გვეხმარებოდნენ სამღებრო თუ სხვა სამეურნეო სამუშაოებში, ასევე დიდ მადლობას ვუხდი მშობლებს და ჩემს პედკოლექტივს, რომელთა მხარდაჭერასაც ვგრძობ ნებისმიერ საქმეში და რომელთა მხრებზეც დგას დღეს ჩვენი სკოლა. განსაკუთრებული მადლობა მეთერთმეტე კლასის რუსული სექტორის მოსწავლეებს, რომლებიც არიან დღევანდელი ღონისძიების ინიციატორები და რომლებიც ძალიან კარგი ყოფაქცევით და მაღალი აკადემიური მოსწრებითაც გამოირჩევიან. სამომავლო გეგმების განხორციელებისათვის ვმუშაობთ აქტიურად, ყოველდღიურად ვცდილობთ, გავზარდოთ სასწავლო პროცესის პროდუქტიულობა.



ღონისძიებაზე სტუმრად იმყოფებოდნენ ჰერეთისა და ხორნაბუჯის ეპისკოპოსი, მეუფე დიმიტრი (კაპანაძე) და „ღვთისმშობლის შობის სამლოცველო ტაძრის“ წინამძღვარი, დეკანოზი პეტრე (ხუმარაშვილი).

მეუფე დიმიტრიმ ღონისძიების დასასრულს კიდევ ერთხელ მიულოცა დამსწრე აუდიტორიას „დღესასწაულთა დღესასწაული“ და ბრძანა:

-ძალიან მიხარია, რომ სკოლა ასე შეეხმიანა ამ მთავარ დღესასწაულს წარმოდგენილი სპექტაკლით, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ მომავალში მხოლოდ ღონისძიებებით არ გექნებათ შეხება დედა ეკლესიასთან, თხოვნით მოგმართავთ, ვიაროთ ტაძარში, უფრო ახლოს გავეცნოთ ჩვენს სარწმუნოებას და მეტად ვიწამოთ უფალი, კაცობრიობის მხსნელი.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ეთერ ზურიკაშვილმა,რომელიც სტუმრად იმყოფებოდა ღონისძიებაზე, აღფრთოვანება ვერ დაფარა სკოლის დირექტორის მიმართ და განაცხადა: - სულ სამიოდე თვეა, რაც ჩვენ ერთად გვიწევს მუშაობა და განცვიფრებული ვარ თქვენი ასეთი ენთუზიაზმით და უკვე გაკეთებული საქმეებით ამ მცირე დროში. მე ვამაყობ თქვენით!

ღონისძიებას ესწრებოდნენ გამგეობის განათლებისა და კულტურის სამსახურის წარმომადგენლები სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

ელზა ხარაშვილი

# წიგნი ჩვენი მეგობარია...

23 აპრილი წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღეა. ეს თარიღი პირველად 1923 წელს კატალონიელებმა აღნიშნეს და სერვანტესის გარდაცვალებას დაუკავშირეს. 1995 წელს იუნესკოს გადაწყვეტილებით 23 აპრილი წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღედ გამოცხადდა, 2001 წლიდან კი იუნესკო ასახელებს ქალაქს, რომელიც ერთი წლით წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ტიტულს ატარებს. საქართველოში ეს დღე პირველად 2003 წელს აღინიშნა. ეს არის დღე, როდესაც კაცობრიობა კიდევ ერთხელ იუწყება, თუ რაოდენ აუცილებელია წიგნი ადამიანის განვითარებისათვის და რაოდენ დიდია მისი დანიშნულება თანამედროვე სამყაროში.




23 აპრილს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და ქ.თბილისის მერიის ორგანიზებით ვაკის პარკსა და ვაკის მედიათეკაში მოეწყო წიგნების გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც 22 გამომცემლობა მონაწილეობდა. ჩატარდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, გაიმართა ახალი წიგნების პრეზენტაციები და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილ მოზარდებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სამყაროში და ძალიან მნიშვნელოვანია, წიგნისადმი სიყვარული ბავშვს სკოლამდელი ასაკიდანვე ჩავუნერგოთ, რათა მივიღოთ განათლებული და მომავალზე ორიენტირებული თაობები.

**- რას ირჩევენ დღეს ჩვენი შვილები?**

- რა თქმა უნდა, წიგნს!

**- რას ანიჭებენ უპირატესობას, წიგნს თუ კომპიუტერს?**

- რა თქმა უნდა, წიგნს!

კომპიუტერი ვერასოდეს ჩაანაცვლებს წიგნს, რომელმაც მრავალ საუკუნეს გაუძლო და თავისი ძლიერება სამყაროს დაუმტკიცა. წიგნი ჩვენი მეგობარია, ხოლო კომპიუტერი ნივთია, რომელიც გვაძლევს მზა მასალას და არ აძლევს ჩვენს გონებას ფიქრისა და განცდის საშუალებას! ინფორმაციას ვიღებთ მხედველობით, მაშინ როდესაც წიგნის კითხვისას მოვლენებს აღვიქვამთ და თითოეული გმირის აზრსა თუ მოქმედებას განვიცდით, გვიძლიერდება ფანტაზიის უნარი, ვეჩვევით სირთულეებს.

დღითი დღე უფრო აქტიურდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება დაწყებითსა და საშუალო სკოლებში,მაგრამ, მთავარია, სკოლამ და მასწავლებელმა იპოვონ ის ოპტიმალური შეხამება, რომ ამით გაიზარდოს სასწავლო პროცესის ხარისხი.

ამ დღეებში, 23 აპრილის მოახლოებასთან დაკავშირებით, შევხვდით და გავესაუბრეთ ქალაქის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს, გვაინტერესებდა, რამდენად წიგნიერია დღეს რეალურად ჩვენი მოზარდი თაობა და რამდენად ჩაანაცვლეს მათ წიგნი კომპიუტერით. გაგიკვირდებათ, ჩვენო მკითხველო, მაგრამ სულ სხვა შედეგს ველოდით და სხვა დაგვხვდა... თანამედროვე ტექნოლოგიების ეიფორიას უკვე ჩაუვლია და ჩვენს ახალგაზრდებს წიგნისთვის კვლავ აქტიურად დაუთმია დრო, განსაკუთრებით ეტანებიან თანამედროვე მწერლების შემოქმედებას, მაგრამ მთავარია, კითხულეობენ და აცხადებენ, რომ წიგნის კითხვა უყვართ, წიგნს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი მათ ცხოვრებაში, კომპიუტერს თავისი.

მთავარია, გვახსოვდეს, რომ განათლებული და ნაკითხი ადამიანისთვის ბევრად უფრო მარტივია ცხოვრების სირთულეებთან გამკლავება, ვიდრე მათთვის, ვისაც წიგნთან არანაირი კვეთა არ აქვს. წიგნი გვმატებს სიცოცხლისუნარიანობას, გვძენს უდიდეს გამოცდილებას, რომელიც ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე აუცილებლად გამოგვადგება.

წიგნი არის კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი!

ელზა ხარაშვილი

# გაზაფხულის ზეიმზე

საზეიმო განწყობაა სამრეკლოს საბავშვო ბაგა-ბაღის, 4-5 წლიან ბავშვთა ჯგუფში, (ჯგუფის მასწავლებელი ი.გელაშვილი, აღმზრდელის თანაშემწე ე.ბერიაშვილი, მუსიკის მასწავლებელი მ. ლეკაშვილი, დამლაგებელი ქ. ბოსტოლანაშვილი).

საგაზაფხულო ფერებში გამოწყობილი ბავშვები დადებითი ენერგიით აღვსილნი, მხიარულად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. მათ წარმოადგინეს სცენარი „ჯადოსნური ტყე“. ისმოდა ენძელას(ნ. ანდრიაშვილი) და იას(ნ. სისაური, ე. გოგილაშვილი), ზამბახისა და ფურისულების მხიარული ხმები.გოგონები განასახიერებდნენ სხვადასხვა ფერის ყვავილებს, მათ წყლით ასაზრდოებდა მოჩუხჩუხე ნაკადული, ყვავილებს ესალმებოდნენ გაზაფხულის პირველი მახარობელი მერცხლები. ჯადოსნურ ტყეში მოსეირნე ბავშვები აგროვებდნენ სოკოს, რომლებსაც ტყეში მგელი და კრავი(გ. შეითნიშვილი, ს. პოპიაშვილი) წუნა და წრუწუ ნა(დ.ტალიაშვილი, გ.გაბიდაური) შემოხვდნენ. ბავშვები ყველაფერს ამას გაოცებით უყურებდნენ, ისინი ხომ ჯადოსნურ სამყაროში მოხვდნენ. ზეიმი გაფორმებული იყო მუსიკალურდ, ერთმანეთს ენაცვლებოდა სიმღერები და ცეკვები.

საგაზაფხულო ღონისძიება ჩატარდა 2-3 წლიან ბავშვთა ჯგუფშიც, (მასწავლებელი ნ.სესიტაშვილი, აღმზრდელი თანაშემწე ნ. ჯანაშვილი, დამლაგებელი ნ. ჯავახიშვილი).

ზეიმს ესწრებოდნენ სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები. ბაგა-ბაღის დირექტორმა მ.ზურაშვილმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის.

# გოდერძი ჩოხელის სევდიანი გზა

## „მე კი დავრჩები ქვეყანას სიკვდილ-სიცოცხლის შემკვრელად"...



61 წელი გავიდა მწერლის დაბადებიდან, რვა წელი – გარდაცვალებიდან. ყველაზე მთავარი მერე დაიწყო... მხოლოდ დროს შეუძლია დაამოწმოს, სჭირდები თუ არა ქვეყანას. განვლილმა პერიოდმა გვაჩვენა, რომ არათუ დაიკარგა ინტერესი გოდერძი ჩოხელის მიმართ, არათუ გაქრა მისი სახელი ლიტერატურის ისტორიიდან, არამედ, პირიქით – გამძაფრდა მონატრება და მწერალთან შეხვედრის სურვილი ქართველ მკითხველში, მისი ფილმების მიმართ სიყვარული – მაყურებელში. უკვდავების საბუთად უკეთეს არგუმენტს ვერ მოიხმობს კაცი! მაინც რა მოვლენასთან გვქონდა საქმე, ვინ იყო რეალურად გოდერძი ჩოხელი?!

მის სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც ეს კითხვა მუდმივად ისმებოდა. სწორედ ამის გააზრებას მიეძღვნა ღონისძიება არხილოსკალოში, რომელიც დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა. არხილოსკალოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიხსენეს ნიჭიერი ქართველი მწერალი და მისი ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სკეტჩებიც შესთავაზეს საზოგადოებას, მხატვრულად წაიკითხეს მისი ლექსები. ღონისძიებაზე სახალხო მთქმელის ივანე წიკლაურის ვაჟმა ბესიკმა გაიხსენა შეხვედრა გოდერძი ჩოხელთან და მის საოცარ უბრალოებას გაუსვა ხაზი, მწერალთან რამდენიმე შეხვედრა გაიხსენა ასევე სკოლის პედაგოგმა დალი ლეკაშვილმა.

შეხვედრაზე სპეციალურად ამ დღისთვის თბილისიდან ჩამოვიდა არხილოსკალოს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, პირველი ოქროს მედალოსანი მაია წიკლაური, რომელიც დღეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია და მის სახელს უკავშირდება რამდენიმე მონოგრაფია გოდერძი ჩოხელზე.

საინტერესო აღმოჩნდა მისი პირველი შეხება მწერალთან, რომელმაც მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

„გოდერძი ჩოხელის შემოქმედებიდან პირველად მისი ფილმები ვნახე, ძალიან მომეწონა, მერე ნაწარმოებები წავიკითხე და ჩავთვალე, რომ იყო ძალიან ორიგინალური და ღრმა... ის არ არის რიგითი მწერალი. და გეტყვით, რასაც ვგულისხმობ: გოდერძი ჩოხელი, როგორც შემოქმედი, ჩანს ერთიანობაში, მთლიანობაში, ანუ ის ჯერ მწერალია, მერე სცენარისტი, შემდეგ უკვე რეჟისორი და სწორედ ამ თანმიმდევრობაში იკითხება ყველაზე სრულყოფილად მისი მნიშვნელობა... ამიტომაც შეუძლებელია უპასუხო შეკითხვას: უფრო კარგი მწერალი იყო თუ რეჟისორი?... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რასაც წერდა, ხედავდა და იღებდა კიდეც ფილმებს... გარდა ამისა, არის კიდევ რაღაც, რაც მას სხვებისგან გამოარჩევს: მასთან ფორმა და შინაარსი ძალიან ჰარმონიულად არის ერთმანეთთან შერწყმული. ამასთან, მისი თითოეული ნაწარმოები, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მხრივ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, აბსოლუტურად სხვადასხვა თვალსაზრისით შეგვიძლია განვიხილოთ. მაგალითისთვის გავიხსენებ "მგელს", რომელიც შეიძლება წავიკითხოთ, როგორც საბჭოთა რეჟიმისადმი მიმართული მკაცრი კრიტიკა; ასევეა ქართულ მითოლოგიაზე შექმნილი რომანი, რომელიც სახელმწიფო წყობას არ ეხება. ეს რაც შეეხება შინაარსს, მაგრამ გოდერძი ჩოხელს ფორმის თვალსაზრისითაც ძალიან ორიგინალური მიგნება აქვს: მგლის და ადამიანის შედარებას ლიტერატურაში იშვიათად როდი წააწყდებით, მაგრამ ჩოხელი მათ ერთმანეთს კი არ ადარებს, მგელში ასახლებს ადამიანს და ერთსა და იმავე ფაქტზე ორ შეხედულებას, დამოკიდებულებას გვამცნობს. ზნეობრივი თვალსაზრისით, მგლისა და ადამიანის აზრი ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ თუ დავწვრილმანდებით, ვნახავთ, რომ ადამიანი ბევრად უარესად გამოიყურება, ვიდრე მგელი, რადგანაც მგელი საკუთარ ბუნებას არ ღალატობს, ადამიანი კი ცხოველის ტყავს ხშირად ირგებს და ასეა განზოგადებული საკითხი, რომელიც მწერალს აწუხებს. რაც შეეხება "ადამიანთა სევდას", ეს რომანი მან ძალიან ახალგაზრდამ შექმნა. ეს თითქოსდა ჩვეულებრივი ლიტერატურული ნაწარმოები კი არ არის, არამედ ერთგვარი ფილოსოფიური დღიურებია და ძალიან რთულ საკითხს ეხება. გოდერძის პირადად ვიცნობდი და შემიძლია გითხრათ, რომ თვითონაც ვერ აცნობიერებდა, რამხელა ცოდნის პატრონი იყო, რაც, ჩემი აზრით, წარმოუდგენელია მხოლოდ წიგნმა მოგცეს... ის ასეთი დაიბადა, ძალიან სხვანაირი ბუნების... ვფიქრობ, გოდერძი ჩოხელი არის კლასიკა და მისი შემოქმედება ყველა დროს და საზოგადოებას მიესადაგება. მას ძალიან ხშირად ვადარებთ ვაჟაფშაველას, რაც შემთხვევითი არ არის... ის შესაძლოა წერდეს ერთ სოფელზე, მაგრამ იმდენად განზოგადებულად, რომ ერთი ქვეყნის მასშტაბს ცდება... ამის მაგალითია ფილმი "ცოდვის შვილები", რომელმაც იაპონიაში (თუ არ ვცდები) გრანპრი მოიპოვა. და იაპონელებმა ისეთი რამ თქვეს მასზე, რასაც ძალიან იშვიათად ამბობენ: – მას სამურაების დონეზე აქვს აყვანილი ზნეობაო. ამ წიგნზე მუშაობისას მიზნად დავისახე, დამენგრია სტერეოტიპი – გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ხალხურიაო, ამბობენ. ფოლკლორზე დაფუძნებული ნამდვილად არის, მაგრამ მისი „ამოყვანა" ფოლკლორიდან და ხალხურობიდან აუცილებელია, რამდენადაც მხოლოდ ასეთ ჩარჩოში არავითარ შემთხვევაში არ ზის... კინოხელოვნებამ გოდერძი ძალიან მალე აღიარა, და არა მხოლოდ საქართველოში, ლიტერატურამ კი ამ მხრივ ცოტა მოიკოჭლა".

ძალიან მიხარია, რომ მის სიცოცხლეშივე გამოვეცით წიგნი „გოდერძი ჩოხელი ერისა და მთის შვილი", რომელიც საკმაოდ დადებითად მიიღო და კმაყოფილი დარჩაო, – აღნიშნა მაია წიკლაურმა.

გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო დასრულდა სკოლის მოსწავლის ნიკუშა ქავთარაძის მიერ მომზადებული სლაიდშოუთი, რომელიც მწერლის მოღვაწეობაზე მოგვითხრობდა.

საღამოს დასასრულ სიტყვით გამოვიდა დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს–ცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი, არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორი მაია სიმონიძე, რომელთაც მადლობა გადაუხადეს ღონისძიების იდეის ავტორს ნანა ჭიჭინაძეს, სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს საინტერესო ღონისძიებისათვის.

* * *

მისი ცხოვრების გზაც ისე წარიმართა, როგორც ყველა გენიოსისა... გუდამაყრელი ნიჭიერი ახალგაზრდისთვის თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება პრობლემად არ ქცეულა, არც თბილისური ცხოვრების წესი... პრობლემა საკუთარი ნიჭის რეალიზების საკითხმა შეუქმნა... ერთი შეხედვით, განსაკუთრებულიც არაფერი ხდებოდა, ქართული ლიტერატურული რეალობა, თავისი ისტორიითა და შინაარსით, მდიდარი წარსულისა და გენიალური ავტორების სიმრავლის მიუხედავად, ერთგვარი პარადოქსული ნიშნის უდავო მატარებელია – ლიტერატურის კრიტიკოსებიც და მკითხველი საზოგადოებაც, რატომღაც, პანიკური შიშით უფრთხის, დამსახურების მიუხედავად, ცოცხალი ავტორის აღიარებას. მეტიც, შემდგომაც კი, თითქოს ვინმეს ნორმატიული აქტით დაედგინოს, გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის გასვლას უცდიან, რომ „შესაბამისი" დრო შეურჩიონ ჭეშმარიტ შემოქმედთა სათანადო დაფასებასა და პატივის მიგებას.

ამ ფონზე ზოგ მწერალს შეიძლება სიკვდილი ენატრებოდეს, რადგან თავადაც შესანიშნავად უწყის, რომ მას კუთვნილ შეფასებასა და დაფასებას სიცოცხლეში არ აღირსებენ. არადა, შემოქმედის რუტინული შრომის, შემოქმედებითი წვისა და საზოგადო სადარდებლის თვითგვემამდე გასიგრძეგანების ყველაზე სოლიდური საზღაური ხომ სწორედ სათანადო შეფასება–დაფასებაშია! თუმცაღა, ეს არაფრით შეიძლება პატივმოყვარეობის საზომით გაიზომოს, ან პიროვნული ამბიციის დაუკმაყოფილებლობად იქნეს აღქმული.

ესაა საზოგადოებისათვის ხმის მიუწვდენლობის სრულიად თავისებური სევდა, დარდი იმაზე, რომ მწერლის ჩივილი, მის მიერ ჩამოკრული განგაშის ზარი მსმენელამდე ვერ აღწევს, მიზნობრივად ვერ მიემართება და რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", ამით კი, უპირველესად, ისევ მისი სათაყვანებელი სამშობლოსა და საზოგადოების ინტერესებისთვის მსხვერპლად შეწირვის პროცესი ყოვნდება. მსხვერპლად შეწირვა, რა თქმა უნდა, არაპირდაპირი გაგებით, თუმცა ამ პროცესის სრული შემეცნებითა და გათავისებით, ვინაიდან ჭეშმარიტი მწერლის ცხოვრება უმთავრესად მწერლობისგან შედგება, ხოლო სხვა ყველაფერი მხოლოდ დანამატ კომპონენტად მიგვაჩნია. თუ ეს ასეა, მაშინ ისიც ლოგიკურია, რომ მწერალი ნებაყოფლობითი ზვარაკია საზოგადოების ინტერესებისა. სწორედ ამ ლოგიკაშია ახსნა გოდერძი ჩოხელის – ამ უაღრესად ღვთისნიერი ადამიანის პიროვნული ტრაგედიისა, რაც მან თვითმკვლელობის მცდელობით გამოხატა.

თითქოს უნდობლად უყურებდნენ მთიდან ჩამოსული, სოფლელი ბიჭის სამყაროს, რომლითაც იყო პრაქტიკულად მთელი მისი შემოქმედება ნასაზრდოები და რომელიც სკეპტიკოსებს მაინცდამაინც შინაარსიანი ვერ წარმოედგინათ. რა უნდა ეთქვა, რით უნდა გაეკვირვებინა, დედაქალაქის დახვეწილი საზოგადოება გამიხარდაის, კოტორაანთ ქალს, ბერს და სხვა ასეთ სამყაროში ჩაკარგულ ადამიანებს, ან მათგან გოდერძი ჩოხელს რა უნდა ესწავლა ერთ მუჭა ჩოხში ისეთი?! ეს იყო კითხვები, რომლებიც ამგვარ იჭვნეულ დამოკიდებულებას ფართო გასაქანს აძლევდა და ამ კითხვათა ადეკვატურ პასუხებამდე გზას აბრკოლებდა: სულიერი სისუფთავე, სიხალასე, კეთილშობილება, ამოუწურავი სიყვარული უფლისადმი, სამყაროსადმი, სიცოცხლისადმი, ადამიანისადმი – აი, ეს არის ამ შეკითხვათა პასუხები და ეს პასუხები სწორედაც რომ ცივილიზაციის გარეშეც მყარად სულდგმულობენ, უფრო მეტიც, გოდერძი ჩოხელი ხშირად სწორედ იმ კულტს ეძიებს ცივილიზაციას მოწყვეტილ სოფლის სიძველეებში, რომლიდანაც კულტურა ვითარდება, რადგან ცივილიზაცია და კულტურა დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ზოგჯერ თავსებადობის პრობლემაც ახლავთ.

გოდერძი ჩოხელს ვაჟაფშაველას საკმაოდ ხშირად ადარებენ, ვაჟას მსგავსად, მან ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა განსხვავებული, მთიულური, კერძოდ კი გუდამაყრული კილო–კავი. თვითონ გოდერძისაც არაერთგზის აღუნიშნავს, რომ თავს ვაჟას მემკვიდრედ მიიჩნევდა; ეს პოზიცია ზოგჯერ შემოქმედებაშიც აქვს გაშლილი, მაგალითად, ლექსში ,,ტყვია" წერს:

,,ვაჟას ნაქონი ტყვია ვარ
ჯერ თოფში გაუსროლელი"...

ვაჟასეული დიდი ჰუმანიზმი სამყაროს გამოუცნობ, მისტიკურირეალურ აღქმასთან არის შერწყმული. ამიტომ, რთულია, რეალურისაგან გაარჩიო მითიური, ზღაპრული, უცნაური და არნახული. სწორედ თხრობის ამგვარი ორიგინალური მანერა იზიდავს მკითხველს გოდერძი ჩოხელის ინდივიდუალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სამყაროში. აქ ადამიანობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია სიკეთე, სიყვარული, სათნოება და სისადავე. როგორც თავად მწერალი მეგობრებთან ამბობდა, ამ სამყაროში იგი საკუთარ "სულის პეპელას" გადაჰყავდა. ძნელი წარმოსადგენია, რას გრძნობდა და განიცდიდა მისი "სულის პეპელა", როცა ჰუმანისტმა მწერალმა და რეჟისორმა მონასტერში თვითმკვლელობა სცადა... მაშინ გოდერძი ჩოხელი გადარჩა, მაგრამ ძალიან რთული იყო მისი სულიერი მდგომარეობა, რომელსაც თვითგამოხატვისა და რეალიზების საშუალება აღარ ჰქონდა. ამ ინციდენტმა, თითქოს, გამოაფხიზლა ქართული ინტელიგენცია, რომელმაც მწერლის დეპრესიიდან გამოყვანა ერთეული ვიზიტებით სცადა, თუმცა კრიზისი, რომელიც ჩოხელს სიცოცხლის ბოლო წლებში თავს დაატყდა, მისი მგრძნობიარე, ადამიანური ბუნებისათვის მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა. საქართველოში მაშინ შემოქმედებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების მოპოვება ძალიან რთული იყო და ხელოვანთაგან ბევრს უჭირდა. გოდერძი ამბობდა: ჩოხელები ჯიუტები ვართ და მეც დღემდე ჯიუტად ვწერო. და წერდა. ოღონდ ეგ არის ეს საოცარი და იდუმალებით მოცული ნაწერები ფირზე ველარ გადაჰქონდა...

როგორც თავად იხსენებდა, კინოთი მაშინვე მოიწამლა, როცა პირველად მესამეკლასელმა ნახა მშობლიურ სოფელში და ეკრანიდან თავისი სახელი გაიგონა — გოდერძი, შვილო! მაშინ არ იცოდა, რომ უბრალოდ ჯარისკაცის მამა თავის შვილს ეძახდა. კინოს სიყვარულმა თეატრალურ ინსტიტუტში მიიყვანა გამოცდაზე, სადაც რუსული ფილმი უნდა გაერჩია. მან კი რუსული არ იცოდა, ცარიელი ფურცლების ჩაბარების შერცხვა და ლექსი დაწერა ირემზე, რომელიც ბარში ჩამოვიდა და დაჭრეს, არწივი და შვლის ნუკრიც შეურია, ყველა მათგანში კი, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი იგულისხმა. სწორედ ამ ლექსმა გადაწყვიტა მისი ბედი. ქალაქში უმალ გავრცელდა ამბავი, რომ მთიდან პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და გამოცდაზე ფილმის გარჩევას ლექსად წერსო. თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა უთხრა: მიგიღებთ, ოღონდ ქალაქმა არ გაგაფუჭოსო.

გოდერძი ჩოხელი უკვე მერვე წელია, რაც „სულეთის ქვეყანაში" გადავიდა, მაგრამ მისი შემოქმედება ოდნავადაც არ კარგავს აქტუალურობას. პირიქით, მის მიერ დატოვებული ნაწარმოებები თუ ფილმები თანდათან უფრო დასაფასებელი ხდება. გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი სწორედ ისე დარჩა, როგორც თავად წერდა ლექსში:

მე კი დავრჩები ქვეყანას
ჭრელჭრული ყვავილივითა,
თავთმაზე შემოსაწნავად,
ნეფიონთ გვირგვინივითა,
სიკვდილსიცოცხლის შემკვრე-
ლად
ოქროს საამო მძივითა,
დავრჩები გასახსენებლად
ლამაზი სიკვდილივითა.

წერილს კი რეზო ინანიშვილის სიტყვებით დავასრულებ:"სურვილი მაქვს ხმამაღლა, ყვირილით ველაპარაკო ქვეყანას: ადრე თუ გვიან მსოფლიო დაინტერესდება ჩოხელით... სულ მეჩვენება, რომ ყველაზე იძიებს შურს მაგიური მთიული"...

ინგა შიოლაშვილი

# კიკბოქსინგელების წარმატება ერევანში



სომხეთის დედაქალაქ ერევანში ტაილანდური კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ორგანიზებით (IFMA) საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც სხვადასხვა ქვეყნები მონაწილეობდნენ. საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციამ ტურნირზე კარგად მომზადებული ნაკრები გუნდი წარადგინა. ნაკრებში სპორტულ კლუბ „ჩემპიონიდან“ დედოფლისწყაროელი სპორტსმენებიც იყვნენ. ნიკა ფიროსმანაშვილი 60 კგ წონით კატეგორიაში (ჭაბუკებში), ლევან წიკლაური 57კგ, გიორგი წიკლაური 63,5კგ (ორივე უფროსი ასაკის კატეგორიაში). საერთაშორისო ტურნირისთვის სპორტსმენები მოამზადა დამსახურებულმა მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა.

ერევანში გამართულ ტურნირზე საქართველომ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადილი აილო, დედოფლისწყაროელი სპორტსმენები კი ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედლით დაბრუნდნენ.

57კგ წონით კატეგორიაში ტურნირის ჩემპიონი ლევან წიკლაური გახდა. ნიკა ფიროსმანაშვილი და გიორგი წიკლაური ფინალურ ორთაბრძოლებში დამარცხდნენ და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

ლევან წიკლაური: „საკმაოდ კარგი შედეგით დავბრუნდით. სომეხ მებრძოლს შევხვდი და პირველი ადგილით დავბრუნდი. პაექრობა აშკარა უპირატესობით, დამაჯერებლად მოვიგე. შევეცადე, რომ საქართველოს სახელი შორს გამეტანა და ჩემი რაიონი მესახელებინა. ზოგადად ეს ჩემპიონატი გამორჩეული იმით იყო, რომ მე ძირითადად K-1 წესებით ვიბრძვი. იქ კი ტაილანდური კრივის წესებით გამოვედი. მასში კი საბრძოლო ხელოვნების უფრო მრავალფეროვნებაა შეტანილი და სხვა სტილს მოიცავს.“

გაჩერებას არ გეგმავენ დანარჩენი სპორტსმენებიც, რომლებიც ახალ წარმატებებს უმიზნებენ და ამისათვის შესაბამისად ემზადებიან.

„საქართველოს კიკბოქსინგელთა ნაკრები არასრული შემადგენლობით ვიმყოფებოდით სომხეთში, სადაც ტაიბოქსის ორთაბრძოლები გაიმართა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის. სასიხარულოა, რომ ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა და საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ სასურველი შედეგი აჩვენა. მათ შორის დედოფლისწყაროს კლუბი „ჩემპიონის“ მებრძოლებმაც. ასევე სასურველი შედეგი ვაჩვენეთ და ერთი ოქრო და ორი ვერცხლის მედალი წამოვიღეთ. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ჩატარდა საუკეთესო ორთაბრძოლები. რაც შეეხება უშუალოდ ჩემს ბრძოლას, ნახევარფინალში რუსი მებრძოლი დავამარცხე. დაძაბული კონტაქტი იყო, თუმცა ჩემი წარმატებით ფინალში გადასულმა ჩემთვის სასურველი ძალები ვერ გამოვიყენე, ეს გამოწვეული იყო წინა ბრძოლიდან გამოყოლილი ტრავმების გამო და სამწუხაროდ, ფინალში, დავმარცხდი. მინდა მადლობა გადავუხადო სპორტის სამინისტროს ჩვენი დაფინანსებისთვის და რაღა თქმა უნდა, დიდი მადლობა ჩემს მწვრთნელს თამაზ ყარაგვეზაშვილს იმ შრომისთვის, რასაც თითოეული მებრძოლის ჩამოყალიბებაში და სპორტული თვალსაზრისით გაზრდაში დევს. ზოგადად, მომავლის დიდი გეგმები მაქვს. როგორც ნებისმიერ ადამიანს, მეც აქტიურობას ვგეგმავ, დინებას არ მივყვები, ვცდილობ მაქსიმუმი გავაკეთო და არასოდეს დავნებდე იმას, რაც თუნდაც პირველჯერზე არ გამომივიდა. ყველაფერს გავაკეთებ, რაც საჭირო იქნება და დანარჩენი უფლის ნებაა,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ **გიორგი წიკლაურმა.**

ილია მარტყოფლიშვილი

# პანკისი, „ისლამური სახელმწიფო“ და სოლიდარობა მსხვერპლთ

ხელისუფლების წარმომადგენლები პანკისიდან სირიაში ექსტრემისტულ დაჯგუფებებში გასაწევრიანებლად წასული ახალგაზრდების შესახებ საუბრობენ. ვიცე-პრემიერ კახა კალაძის თქმით, ამ პრობლემის გარშემო ყველა უნდა გაერთიანდეს - ოჯახით დაწყებული და სახელმწიფოთი დამთავრებული. პარალელურად, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში იმართება ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მსხვერპლთა სოლიდარობის აქციები. რა გზით შეიძლება აღკვეთოს ხელისუფლებამ ახალგაზრდების ექსტრემისტულ დაჯგუფებებში გაწევრიანება?

მას შემდეგ, რაც აპრილის დასაწყისში პანკისის ხეობიდან ორი არასრულწლოვანი წავიდა სირიაში, 16 აპრილს პანკისის ხეობაში კიდევ ერთი ახალგაზრდის, 19 წლის ჯამლეტ ბორჩაშვილის, გაუჩინარების ამბავი გავრცელდა. ჯამლეტის დედა თინა ბორჩაშვილი ამბობს, რომ მისი ვაჟი სამი დღის წინ წავიდა სახლიდან და აღარ გამოჩენილა: „თავისი ზურგჩანთა აიკიდა, გავიდა გარეთ, მითხრა, მივდივარო და აზრზეც არ ვიყავი, სად მიდიოდა“.

ნამდვილად სირიაში წავიდა თუ არა ჯამლეტი, ამის შესახებ დადასტურებული ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს. რაც შეეხება 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილსა და 18 წლის რამზან ბალაკაშვილს, მათი სირიაში წასვლიდან რამდენიმე დღის თავზე, ინტერნეტში ფოტო გავრცელდა, რომლის თანახმადაც, პანკისის ხეობის სოფელ დუმასტურის მკვიდრნი ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) რიგებში ჩაეწერნენ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან თურქეთის გავლით სირიაში გადასული ახალგაზრდების შესახებ 16 აპრილს კომენტარი გააკეთა შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა. მისი თქმით, საკმაოდ ძნელია გაკონტროლდეს საქართველოდან თურქეთში სრულწლოვანი ადამიანის გასვლა, არასრულწლოვანის მიერ საზღვრის გადაკვეთის მოკვლევა კი დასრულებულია და ამჯერად მესაზღვრის სასჯელის ფორმას გენერალური ინსპექცია განსაზღვრავს:

„საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა, რომელიც ამოწმებდა ამ ბავშვს, შეცდომა დაუშვა. ის მიიღებს შსს-ს შიდადებულებით დადგენილ ადმინისტრაციულ სასჯელს. პანკისის ხეობაში მოკვლევა დაწყებულია, თუ ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, თუ ვინ მოუწოდებს ახალგაზრდებს სირიაში წასვლისკენ“.



გასულ წელს სირიაში პანკისის ხეობის ათამდე მკვიდრი დაიღუპა. ოფიციალური სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი მოქალაქეა წასული საზღვარგარეთ ექსტრემისტულ სამხედრო დაჯგუფებებში საბრძოლველად, არ არსებობს. სამხედრო ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი ამბობს, რომ ძნელია ქვეყანამ გააკონტროლოს თურქეთში წასული მოქალაქეების შემდგომი მარშრუტი. ერთ-ერთი გზა, თუ როგორ აღკვეთოს სახელმწიფომ, მაგალითად, პანკისის ხეობიდან ექსტრემისტულ დაჯგუფებებში საკუთარი მოქალაქეების გადინება, მისი თქმით, ხეობაში სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, თუმცა ეს შედარებით შორეული პერსპექტივააო, იქვე დასძენს, და ამ გზით პრობლემა მოკლე ხანში ვერ გადაიჭრებაო. ამიტომ ის გამოსავლის მეორე გზაზე მიუთითებს:

„რა თქმა უნდა, აუცილებელია სპეცსამსახურების ოპერატიული მუშაობა, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც პოტენციური წამსვლელია ISIS-ის რიგებში საბრძოლველად, დროულად იყოს გამოვლენილი. რა თქმა უნდა, ეს ახალგაზრდები ერთ დღეში არ იღებენ ასეთ გადაწყვეტილებებს. მათ ჰყავთ ის ადამიანები, რომლებიც ხვდებიან ახალგაზრდებს თურქეთში, ასწავლიან გზებს და ა.შ. სწორედ, აი, ეს კავშირებია გამოსავლენი“.

პანკისში მცხოვრები ქისტების ინტეგრირების აუცილებლობაზე ლაპარაკობს რადიო თავისუფლებასთან კავკასიოლოგი ალეკო კვახაძე. მისი თქმით, ახმეტის მუნიციპალიტეტში, სადაც პანკისის ხეობა მდებარეობს, პანკისელები მინიმალურად არიან წარმოდგენილნი და ასევე მინიმალური კონტაქტი აქვთ ქართულ მოსახლეობასთან. ამას ემატება ისიც, რომ, ალეკო კვახაძის თქმით, „ისლამურ სახელმწიფოს“ საკმოდ კარგად აქვს აწყობილი პროპაგანდისტული სისტემა და არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ ევროპული ქვეყნებიდან თუ აშშ-დანაც ახერხებენ ადამიანების გადაბირებას:

„სპეცსამსახურებმა შესაძლოა ეს პროცესი კონტროლირებადი გახადონ, მაგრამ მას ვერ აღკვეთენ. ანუ ჩვენ შედეგს კი არა, მიზეზს უნდა ვებრძოლოთ. ანუ ყველაფერი ისევ და ისევ მიდის ეკონომიკაზე და რეგიონის ინტეგრაციაზე ქართულ საზოგადოებასთან. ანუ თუკი თითოეულ მცხოვრებს ექნება იმის პერსპექტივა, რომ საქართველო არის მისი სახელმწიფო და მას თავისი გამოცდილება და ცოდნა შეუძლია მოახმაროს ქართულ სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლებ ადამიანს გაუჩნდება იმის განცდა, რომ წავიდეს რომელიმე სხვა კონფლიქტში საბრძოლველად“.

პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის ფაქტს 17 აპრილს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე გამოეხმაურა. მისი თქმით, ამ პრობლემის გარშემო ყველა უნდა გაერთიანდეს - ოჯახით დაწყებული და სახელმწიფოთი დამთავრებული.

მაშინ როდესაც პანკისის ხეობიდან ახალგაზრდები ექსტრემისტულ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ჩასაწერად მიდიან, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ამ დაჯგუფების მსხვერპლთ სოლიდარობას უცხადებენ. როგორც 17 აპრილს გამართული სოლიდარობის აქციის ორგანიზატორები, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრები, ამბობენ, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე - მათ შორის, სირიასა და ერაყში - ადგილი აქვს ათასობით მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ სასტიკ მოპყრობას, რელიგიურ ნიადაგზე დევნას, წამებას, გოგონებისა და ქალების გაუპატიურებას, სიკვდილით დასჯას. სწორედ ამ ქმედებებს აპროტესტებენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში შეკრებილი ადამიანები, სწორედ „ისლამური სახელმწიფოს“ მსხვერპლთ უცხადებენ მხარდაჭერას.

# ანთება ყელში

უეცრად აღმოცენებული ტკივილი ყელში, ყლაპვის გაძნელება, საერთო სისუსტე და დიაგნოზიც ნათელია - ყელის ანთება! რატომ ვითარდება ანთება ყელში? დღეს შევეცდებით, ამ კითხვას გავცეთ პასუხი.

უმეტესად ყელის ანთების მიზეზია ხახის, ნუშურა ჯირკვლების ან ხორხის მწვავე ინფექცია. მედიცინაში ხახის ანთებას ფარინგიტი ეწოდება, ნუშურა ჯირკვლების ანთებას - ტონზილიტი, ხოლო ხორხის ანთებას - ლარინგიტი.

მართალია, ზემოთ აღწერილი სიმპტომები სრულიად განსხვავებული მდგომარეობების დროს შეიძლება აღმოცენდეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ყელის ანთების მიზეზი ყველაზე ხშირად მაინც ზედა სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციაა, რასაც, ჩვეულებრივ, გაციებას ვუწოდებთ. ცნობილია, რომ ნუშურა ჯირკვლების ანთება უმეტესად მართლაც ვირუსულ ინფექციასთან არის დაკავშირებული და ანტიბიოტიკების გარეშე, სიმპტომური (ტკივილის შემამცირებელი და ტემპერატურის დამაქვეითებელი) საშუალებების მიღების შედეგად, გაჯანსაღებით მთავრდება. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ბაქტერიული ანგინა, რომელსაც ანტიბიოტიკებით მკურნალობენ.

**რა და რა სახის ტონზილიტი არსებობს?**

ტონზილიტი ზოგადი სახელწოდებაა, რომელიც ნუშურა ჯირკვლების ანთებას აღნიშნავს. ის დაავადების მიზეზზე არ მიუთითებს. ამისგან განსხვავებით, ტერმინი "სტრეპტოკოკული ფარინგიტი" აღნიშნავს ყელისა და ნუშურა ჯირკვლების ანთებას, რომელიც გამოწვეულია ბაქტერიით - ა ჯგუფის სტრეპტოკოკით. მის დიაგნოზს გარკვეული ლაბორატორიული კვლევების შედეგად სვამენ.

**რა იწვევს ყელის ანთებას?**

ყელის ანთება სხვადასხვა



მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ესენია:

- ვირუსული ინფექცია. ყელის ანთებას იწვევს მრავალი ვირუსი, რაც ეგრეთ წოდებული გაციების მიზეზია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ცნობილი ვირუსი (მაგალითად, გრიპის, ყბაყურას, პარაგრიპის, კოქსაკის ვირუსები, მონონუკლეოზის გამომწვევი ეპშტეინ-ბარის ვირუსი) ასევე შეიძლება იქცეს ყელის ანთების მიზეზად.
- ბაქტერიული ინფექცია. ბაქტერია იწვევს სტრეპტოკოკულ ანგინას, პერიტონზილურ აბსცესს (ჩირქგროვა ნუშურა ჯირკვლების ირგვლივ არსებულ არეში), დიფტერიულ ანგინას, ეპიგლოტიტს (ნაქის ანთება), ტონზილიტს. იშვიათად ყელის ანთების მიზეზად გვევლინება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებიც (გონორეა, ქლამიდიოზი).
- ტოქსინები, გამღიზიანებლები. მაგალითად, თამბაქოს კვამლი, მტვერი, ქიმიური ნივთიერებები (უნებლიე ან განზრახ მიღებისას), ასევე - ცხვირ-ხახაზე სეკრეტის ჩადინება, ალერგია, ხველა, გასტროეზოფაგური რეფლუქსი (კუჭის მჟავა წვენის ამოტყორცნა საყლაპავში), სიმსივნე.
- ტრავმა, დაზიანება, უცხო სხეული, მეტისმეტად ხმამაღალი ყვირილი ან ლაპარაკი.

## როგორ ვლინდება ყელის ანთება

ყელის ანთების კლინიკური სურათი გამომწვევ მიზეზზეა დამოკიდებული, თუმცა არსებობს საერთო ნიშნებიც. ესენია ყელის ტკივილი და დისკომფორტი, რომლებიც უფრო მეტად შემაწუხებელია ყლაპვის ან ლაპარაკის დროს. ზოგიერთი ყელში სიმშრალის შეგრძნებას უჩივის.

ვინაიდან ყელის ანთება უმეტესად მაინც ვირუსულ, ზოგჯერ კი ბაქტერიულ ინფექციასთან არის დაკავშირებული, მას თან ახლავს შემდეგი სიმპტომები:

- ტემპერატურის მომატება, შემცივნება;
- გულისრევა, ღებინება;
- მოთენთილობის, ტეხის შეგრძნება;
- თავის ტკივილი;
- ხველა;
- ცხვირიდან გამონადენი ან ცხვირის გაჭედვა;
- ყურის ტკივილი;
- ცემინება;
- სისუსტე;
- უმადობა;
- ხახისა და ნუშურა ჯირკვლების სიწითლე და შეშუპება;
- ნუშურა ჯირკვლების არეში თეთრი ნადების არსებობა;
- კისრის ლიმფური კვანძების გადიდება;
- ხმის ჩახლეჩა ან შეცვლა.

მწვავე სტრეპტოკოკული ფარინგიტისა და ვირუსული ანგინის ერთმანეთისგან გარჩევა მხოლოდ კლინიკური ნიშნებით შეუძლებელია, თუმცა არსებობს სიმპტომები, რომლებიც სტრეპტოკოკული ფარინგიტის დიდ ალბათობაზე მიუთითებს. ესენია გადიდებული, შეშუპებული წითელი ნუშურა ჯირკვლები მოთეთრო ნადებით, ტემპერატურის მომატება, კისრის ლიმფური კვანძების გადიდება მაშინ, როდესაც არ შეინიშნება გაციებისთვის ტიპობრივი სიმპტომები - ცემინება, ცხვირიდან გამონადენი, ხველა. უნდა ითქვას, რომ ეს განსხვავება ყოველთვის არ არის თვალში საცემი და დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭირო ხდება ლაბორატორიული კვლევა. საბოლოო დიაგნოზს სვამენ ხახიდან აღებული ნაცხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით.

---

**ხსოვნა**

## სოსო დავითაშვილი

როცა ნათელი სიცოცხლე ნაადრევად წყდება, მაშინ იწყება მწუხარებისა და გლოვის ჟამი, ჟამი ტკივილისა და მონატრებისა. 22 წელი საბედისწერო აღმოჩნდა შენი სიცოცხლისათვის.

ოქროს ხანაში დაგატოვებინა ბედისწერამ წუთისოფელი. იქ დამთავრდა ყველაფერი, საიდანაც იწყებოდა. დაიწვა და ჩაიფერფლა შენი ოცნება და მომავალი. 22 წელი ხომ ერთი ამოსუნთქვაა. მართლაც, ერთი ამოსუნთქვით დამთავრდა შენი ლამაზი სიცოცხლე. მაგრამ...

„შენ დაამარცხე სიკვდილი,
სიცოცხლე ღმერთთან გრძელდება,
სიკვდილს კი დარჩა სირცხვილი,
თუკი აქვს ამის შეგნება."

მამიდა

---

ლეილა გულაშვილი და მერი ფიროსმანაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაირა გორაშვილს, ზურა და მაგდა პოპიაშვილებს მეუღლის და მამის

გოგი პოპიაშვილის

გადაცვალების გამო.

---

მაყვალა და გულო იაკობიშვილები სამძიმარს უცხადებენ ნაირა გორაშვილს მეუღლის

გოგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ნონა გაფრინდაშვილი, ნანი ბრეგვაძე, მანანა ახმეტელი, თამარ მოძღვრიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაირა გორაშვილს მეუღლის

გოგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

რუსუდან, გიორგი თულაშვილები, გვანცა, თორნიკე ალადაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნიაკო მელაშვილს პაპის

გიორგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „შირაქის" რედაქციის და სტამბის ყოფილი თანამშრომლები: რენი და ნათელა ჭრელაშვილები, ლილი ბენაშვილი, კლარა ოზაშვილი, თინა ფავლენიშვილი, ანზორ მაძღარაშვილი, ჯემალ მეხრიშვილი, უშანგი წყარუაშვილი, შოთა ბიკაშვილი, ვალიკო მანგოშვილი, ხოშატი ლამაზოშვილი, ჯუმბერ უთრუთაშვილი, თამარ ბალაშვილი, ქეთინო გოგოლაური, ლამარა ავეტისიანი, მარიკა გონაშვილი, ნინო ჯორკოშვილი, ნაზი ყოჩიაშვილი, ლია ჩოქური, შურა ბენაშვილი, ნათელა ლოლაშვილი იუწყებიან სტამბის ყოფილი დირექტორის

გოგი პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს ნაირა გორაშვილს და შვილებს ზურაბ და მაგდა პოპიაშვილებს.

---

თენგიზ იაკობიშვილი და კაკო სამუკაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნაირა გორაშვილს მეუღლის

გოგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

კლარა ოზაშვილი, გუგული, ლალი, რუსუდან, ალეკო ალადაშვილები, ნიკო თულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაირა გორაშვილს, მაგდა, ნატალი, ზურა პოპიაშვილებს, ირაკლი მელაშვილს, გულნარა ლორაშვილს

გიორგი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გოგიტა, მანანა, მანო, ნიკო და ციცო ტოკლიკიშვილები სამძიმარს უცხადებენ მზია მეურმიშვილის ოჯახს

ვასიკო მენთეშაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები: თინა ფავლენიშვილი, გია ჩუთლაშვილი, ზურაბ დავითაშვილი, ესმა რობიტაშვილი, ვაჟა ბულაშვილი, გურამ ყაზაროვი, ნიკოლოზ ტოკლიკიშვილი, პავლე ხუციშვილი, მზია ჯავახიშვილი, შენგელი ნატროშვილი, ტარიელ ნატროშვილი სამძიმარს უცხადებენ მზია მეურმიშვილს მეუღლის, ვანო და დარინა მენთეშაშვილებს მამის

ვასილ მენთეშაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მზია; შვილები: ვანო და დარინა მენთეშაშვილები; სიძე ვანო ბლიაძე, შვილიშვილი ანი ბლიაძე; და ჟუჟუნა მენთეშაშვილი, სიძე ავთო გოგოლაძე იუწყებიან

ვასიკო მენთეშაშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 23 აპრილს, მარჯანიშვილის ქN29, ქალაქ დედოფლისწყაროში.

---

„საქპრესის" დედოფლისწყაროს ფილიალის თანამშრომლები: ლელა ყოჩიაშვილი, მარინა ფიროსმანაშვილი, ნაირა გომელაური, მაია ჯანიაშვილი, ქეთევან ალულიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მაყვალა მანგოშვილს მეუღლის

სარდიონ მანგოშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები: მანანა, მერი გოგაშვილები; შვილიშვილები: ალიკა გოგაშვილი, სოფიკო (სონა), მაკა ლაპიაშვილები, ნინო, ნონა ჯანაშვილები. რძლები: ნანა დათუკიშვილი, ხათუნა მელიქიშვილი. სიძეები სპარტაკ ლაპიაშვილი, ელმილე ჯანაშვილი, რუდოლფო ლანდესკი, თემურ ბალაშვილი, ილო ზედელაშვილი. შვილთაშვილები: ნიკოლოზი, გიორგი, ლუკა გოგაშვილები, გიორგი, სანდრო გიგაურები, თაკო, ლუკა ბალაშვილები. ელენე ლანდესკი მაზლისშვილი ოლია, რძალი ვიოლა, დაშა, მაზლისშვილის შვილები: სულიკო, მელანო, ხათუნა, ლია, მზია, ვანო იუწყებიან

მაყვალა ალადაშვილ-გოგაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 23 აპრილს, სოფელ არბოშიკში.

---

სს „პრივატბანკის" ახლანდელი და ყოფილი თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ალიკა გოგაშვილს ბებიის

მაყვალას

გარდაცვალების გამო.

---

ლია ბეგიაშვილი, ნინო, მაიკო და ნოდარ პოპიაშვილები, ლევან ზუხბაია იუწყებიან ახლობლის

შოთა ლაპიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---

თენგიზი, თამრიკო, გიორგი, მამუკა ლაპიაშვილები, ნატო მესხი იუწყებიან ახლობლის

შოთა ლაპიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

შვილები: ლელა, ლია ყოჩიაშვილები; სიძეები:დავით ტოკლიკიშვილი, დიმა პოპიაშვილი; შვილიშვილები: ხათუნა, ვაჟა, სოფიკო, ირაკლი; შვილთაშვილები: კოტიკო, დათა; დისშვილები, ძმისშვილები, მაზლისშვილები, მძახალი ლიზიკო ლაპიაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვენერა საპანდერაშვილ-ყოჩიაშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 9 აპრილს, სოფელ სამრეკლოში.

# საპატრიარქოს სკოლაში საგადასახადო შეღავათები გაუქმდა

***საპატრიარქოს მიერ დედოფლისწყაროში დაფუძნებულ სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან საგადასახადო შეღავათები გაუქმდა. როგორც ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, შეღავათებით მოსარგებლე მოსწავლეებზე კვლავაც შენარჩუნდება, ხოლო ახლადმიღებული მოსწავლეთათვის კი საგადასახადო შეღავათები აღარ იმოქმედებს.***

„მეუფის გადაწყვეტილებით სკოლაში გაუქმდა შეღავათები, თუმცა, ამას არ შეუმცირებია მსურველთა რაოდენობა. კერძო სკოლაა, გადასადი იმდენად სიმბოლურია, რომ ოჯახისთვის რთული დასაფარი არ უნდა იყოს. შეღავათი მხოლოდ მრავალშვილიანებზე შენარჩუნდება. მეორე და მესამე ბავშვზე გადასახადი თვეში 10 ლარია, ხოლო, თუ ოჯახიდან 4 ან მეტი ბავშვი ისწავლის, ყველა გათავისუფლდება გადასახადისგან. ჩვენ ვთვლით, რომ სიმბოლური გადასახადის დაწესება გაზრდის მშობლის პასუხისმგებლობას და მოტივაციას, სისტემატურად გადაამოწმოს საკუთარი შვილის სწავლა-სწავლების ხარისხი.

ჩვენი მთავარი მიზანია, მაღალი შედეგები, ამიტომ მიღებისას გასაუბრება და გადასახადიც ამ მიზნის მიღწევის ხელშემწყობი მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მთავარი ინდიკატორი კმაყოფილი მშობელია. ჩვენი მოსწავლეების მშობლების კმაყოფილების შედეგია ეს რეზონანსი და ჩვენთან სწავლის მსურველდა დიდი რაოდენობა. პროგრამები და სერვისი, რომელიც თავიდანვე შევთავაზეთ საზოგადოებას, ძალიან ეფექტური აღმოჩნდა და შედეგითაც ძალიან კმაყოფილები ვართ,“ – აცხადებს მაია ლაპიაშვილი.

ეპარქიის გადაწყვეტილებით, გასულ სასწავლო წელს ჩარიცხული სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებზე საგადასახადო შეღავათები გავრცელდა, რომელიც ამ დრომდე ნარჩუნდება.

მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიამ გასული წლის ოქტომბერში გახსნა. საპატრიარქოს ბიუჯეტიდან მისი წლიური დაფინანსება 140 000 ლარია.

## რეგისტრაციის მსურველთა რიცხვი გაზრდილია



მაია ლაპიაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ პირველკლასელთა რეგისტრაციისას მათ სკოლაში სწავლაზე მოთხოვნა კვლავაც დიდია, რის გამოც ახალი სასწავლო წლიდან ორი პირველი კლასის შექმნა მოუწევთ.

„დაიწყო 2015/16 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაცია. ჩვენი სკოლის პირველ კლასში ბავშვის მოყვანის სურვილი გამოთქვა 40-მდე მშობელმა. სამწუხაროდ, ამდენი პირველკლასელის მიღების საშუალება სკოლას არ აქვს. სკოლის გენერალური დირექტორის, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმთავრის, მეუფე დიმიტრის გადაწყვეტილებით, ბავშვების შერჩევა და პირველ კლასში ჩარიცხვა მოხდა გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრება წარმატებით გაიარა 28 ბავშვმა. უკვე დაკომპლექტდა ორი პირველი კლასი. მათი კლასის დამრიგებლები იქნებიან მზია ბაშარული და თეონა ღონღაძე, ორივე სერტიფიცირებულია თავის საგანში. მათემატიკას ბაშარული შეასწავლის, ქართულ ენა ლიტერატურას კი – ღონღაძე. ორივე პარალელი საგნობრივ, დიფერენცირებულ სწავლებაზე იქნება. ახალი სასწავლო წლიდან თითო კლასში ისწავლის 14 პირველკლასელი.

ასევე მოგვმართეს იმ ბავშვების მშობლებმა, რომელთაც 14 სექტემბრის შემდეგ უსრულდებათ 6 წელი. რადგანაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე ჩვენ არ გვაქვს მათი შვილების სკოლაში ჩარიცხვის უფლება, მათ ვთავაზობთ პრე-სკოლას გაძლიერებული ინგლისური, ან რუსული ენის სწავლებით. პრე-სკოლის შემდეგ, მომავალ წელს ისინი ჩვეულებრივად პირველ კლასში დაიწყებენ სწავლას. ამ შემთხვევაში უკვე ათი განაცხადია დაფიქსირებული. ჩვენ პირველკლასელთა რეგისტრაცია აპრილიდან დავიწყეთ და შედარებით ადრე დაკომპლექტდა. პირველადი განაცხადების დროს იანვრის თვეშივე 20-მდე განაცხადი გვქონდა, რაც გაზრდილ მოთხოვნაზე მეტყველებს,“ - აღნიშნა დირექტორმა.

რაც შეეხება ამჟამად მოქმედ ტარიფებს, ყოველთვიურად 25 ლარი სწავლის საფასურია და თუ კვების პროგრამას აირჩევენ, 15 ლარი ემატება. ტრანსპორტით სარგებლობის შემთხვევაში ემატება კიდევ 10 ლარი.

ილია მარტყოფლიშვილი

# ულოცავენ!

## იზა ლაპიაშვილს!

ჩვენო საყვარელო იზა, გილოცავთ დაბადების დღეს შენი მეგობარი შვიდეული, გვეამაყება, რომ ყოველთვის ჩვენს გვერდით ხარ ჭირსა და ლხინში. ჩვენო ჭკვიანო, კეთილო ადამიანო, გისურვებთ ჯანმრთელობას, რომელიც ძალიან გჭირდება შენ, დიდხანს იცოცხლე შენი ქმარ-შვილის და შვილიშვილების საიმედოდ. ამავე დროს გილოცავთ შვილიშვილის დაბადებას, რომელიც სულ რამდენიმე დღისაა, გაიზარდოს ჯანმრთელი და სასახელო ადამიანი. იხარე შენს ოჯახთან და მეგობარ შვიდეულთან ერთად. ალბათ მალე გინახულებთ.

გული აივსო იმედით, რწმენით,
და არაფერზე იდარდიანო,
უიმედობა შეცვალე ლხენით,
ღმერთი დაგლოცავს ადამიანო.

შენი შვიდეული

## ნინო და ივერ წიკლაურებს

დედოფლისწყაროს ენერგოდისტრიბუციის თანამშრომლები ულოცავენ ნინო და ივერ წიკლაურებს შვილიშვილის ელენეს დაბადებას.

ახალშობილს უსურვებენ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას.

## თამუნა კვირიკაშვილს!

ჩვენო საყვარელო თამუნა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში. ვისურვებთ, საუკეთესო მეწყვილე გეპოვოს და ყველა ოცნება აგსრულებოდეს.

უფალი იყოს შენთან!

ქალაქ დედოფლისწყაროს
N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

# ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“

18 აპრილს დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით მოსწავლეთა შორის ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ ჩატარდა. სპორტის ცენტრის ინფორმაციით, მასში დედოფლისწყაროს ყველა სოფლის სკოლა მონაწილეობდა. როგორც სპორტის ცენტრის წარმომადგენელმა ლელა ბიღიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მათი სურვილი იყო ინტელექტის დღე ამ შეჯიბრით აღენიშნათ.

ქულების მიხედვით პირველ ადგილზე სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის გუნდი გავიდა. მეორე ადგილი ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე არბოშიკის და სამრეკლოს სკოლის გუნდები გავიდნენ.

ჟიურის წევრმა მანანა ყატაშვილმა გამარჯვებული გუნდის, ქვემო ქედის საჯარო სკოლის ყველაზე აქტიური წევრი თორნიკე ახალაური სიგელით და ფასიანი პრიზით დააჯილდოვა და წარმატებები უსურვა.

„ამგვარ შეჯიბრებებში ხშირად ვმონაწილეობთ, რადგან უკეთესად ვისწავლოთ. ასეთი ღონისძიებები დიდ სტიმულს გვაძლევს. ძალიან კმაყოფილი ვარ, არანაირ მიკერძოებას ადგილი არ ჰქონია და ობიექტურად დაითვალეს ქულები. სიმართლე გითხრათ, წარმატებას ველოდი, რადგან კარგად ვართ მომზადებულნი,“ – აღნიშნა თორნიკე ახალაურმა.



„დიდი შრომა ჩადეს ბავშვებმა და შედეგი გამოჩნდა, ეს გამარჯვება ამის დასტური იყო. გასულ წლებში ქვემო ქედელი ბავშვები მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ ორგანიზებულ ინტელექტუალურ თამაშებშიც იღებდნენ მონაწილეობას, წარმატებებს და საპრიზო ადგილებს იქაც აღწევდნენ, მაგრამ ამჯერად პირველი ადგილი უფრო სასიხარულოა. როგორც მცირერიცხოვანი სკოლა, უნდა ითქვას, რომ კარგი თაობა გვყავს, კარგად სწავლობენ და სხვა საგნებში და კონკურსებშიც წარმატებები აქვთ,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ქვემო ქედის სკოლის პედაგოგმა თამაზ იანვარაშვილმა.

რამდენიმე თვის წინ ანალოგიური ინტელექტუალური თამაშები ზრდასრულებს შორისაც გაიმართა, რაც გაცილებით მასშტაბური იყო.

ილია მარტყოფლიშვილი

# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 27.04 | | სამშაბათი 28.04 | | ოთხშაბათი 29.04 | | ხუთშაბათი 30.04 | | პარასკევი 01.05 | | შაბათი 02.05 | | კვირა 03.05 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 13 ° | 12 ° | 16 ° | 14 ° | 16 ° | 14 ° | 18 ° | 14 ° | 14 ° | 11 ° | 15 ° | 13 ° | 14 ° | 12 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K